

ქვეყნის გზები



საქართველოს
მწიკრის
კავშირის
გაზეთი
№7 (284)

15 ნოემბერი -
15 დეკემბერი
2020

ფასი 1 ლარი

გამომცემი
თეიმურაზი



ცისფერ ეკრანზე რომ გამოჩნდება, სუნთქვა შემეკვრება, ვიცი, ე მანდ მორიგ სისულელეს იტყვის ქვეყნის თავმოსაჭრელად.

რაო, აქამდე რა სისულელები თქვაო?

გაიხსენეთ, შეურაცხყოფელი განონათქვამი საქართველოს არმიისზე.

ნუ დაერევით, ერთი-ერთზე მიდით და ურტყით, ახალგაზრდებო, ერთ-მანეთსო.

შეიყუყა ისტორიულ სასახლეში და ქვეყნის მართვა-გამგეობაში არავითარ მონაწილეობას არ ლეზულობს.

იქნებ, ტატუნაშვილის და ოთხოზორიას მკვლელობის გამოძიება რომ გაიყინა, ჩაერია პრეზიდენტი და მოითხოვა მკვლელთა დაუყოვნებლივი დასჯა?

თქვენც არ მომიკვდეთ.

იქნებ, ერთი საერთაშორისო პრობლემა მაინც გადაუნწყვიტა თავის ბედკრულ სამშობლოს?

იქნებ, საპროტესტო განცხადება გააკეთა რუსეთის მიერ ქართული მიწების ყოველდღიური მიტაცების, ანუ „მცოცავი ოკუპაციის“ წინააღმდეგ?

თქვენც არ მომიკვდეთ.

იქნებ, ხმა მიაწვდინა გაეროს: დაადგინეთ, რომ შეუშვას რუსეთმა მის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო დამკვირვებლები.

თქვენც არ მომიკვდეთ.

იქნებ, მოძმე აზერბაიჯანის მიერ დავით გარეჯის მიტაცებაზე

რაკი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს მიერ პრეზიდენტად არჩეულმა (ახია ჩემზე) ამ ღირსეულმა ქალბატონმა, მომაცყუა, გადავწყვიტე, მე მივსულიყავი.

რა საქმე მქონდა?

უპირველეს ყოვლისა, მინდოდა მეთხოვა: ჩაერიეთ მწერალთა მიუსაფრობაში, იქნებ, სააკაშვილის მიერ ყაჩაღურად წართმეული მწერალთა კუთვნილი სასახლის დაბრუნებაში მოგვეხმაროთ-მეთქი.

მეორე: არ არსებობს დღეს სოციალურად უფრო დაუცველი ფენა, ვიდრე მწერლობაა, დასვათ საკითხი და მწერლებს თუნდაც თვეში ასი ლარი სტიპენდია დაენიშნოს-მეთქი (მაშინ, როცა სომხეთში მწერალთა კავშირის წევრს თვეში 300 დოლარი აქვს, ხოლო აზერბაიჯანში - 500 დოლარი).

აი, ეს მინდოდა მეთხოვა, სხვა არაფერი. როგორ ფიქრობთ, მიმილო?

არ მიმილო მე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი.

ვერ მოიცალა დიდი „საქვეყნო საქმეებით“ გართულმა პრეზიდენტმა.

და ბოლოს, ის უნდა მოგახსენოთ, რამაც ამ შენიშვნის დასაწერად გამა-



გრამ მას ჯერ ერთი წერილითაც არ დაუმტკიცებია, რომ პოეზიაში არბიტრად გამოდგება.

ჰოდა, ვის უნდა, პრეზიდენტო, ამ უმნიშვარა მომწერლო ელემენტებისგან შემდგარი ჟიურის ხელიდან ვაყა-ფშაველას პრემიის მიღება.

მე ხომ ვიცი, საქართველოს პრეზი-

სადა ხარ შენ, საქართველოს პრეზიდენტო სალომე ზურაბიშვილო!

პრეზიდენტი, რომელიც თვით მთავარსარდალი ბრძანდება და ქართულ ჯარს, საჭიროების შემთხვევაში, ხმლით ხელში წინ უნდა წარუძღვეს (მაია წყნეთელი, თინა ვაშლოვანი), აცხადებს, ჩვენ შეიარაღებული ძალები არა გვყავს და არც არასოდეს გვეყოლებაო.

უფრო მეტიც, საქართველოს არმიამ, თურმე, 2008 წელს მძინარე ცხინვალის დაბოძება.

იქნებ, „მეგობრებმა“ ოცი წლის ანგელოზივით ლამაზი ფეხბურთელი ბიჭი რომ მოკლეს, მაშინ მაინც თქვა პრეზიდენტმა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული, დამაშოშმინებელი სიტყვა?

მეო, ბრძანა ქალბატონმა სალომემ, ჩხუბი ერთი-ერთზე ვიციო.

მეტი რა თქვას, ქვეყნის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, „ბრძენმა“ ქალმა, დედამ. კოლექტიურად ერთს

მაინც გამოთქვა თავისი წონიანი, პრეზიდენტური აზრი?

თქვენც არ მომიკვდეთ.

იქნებ, საქართველოს საშინაო საქმეებითაა გართული და საგარეო საქმეებისთვის ვერ მოიცალა?

ამას წინათ უნივერსიტეტში იყო მოსული და პირადად ვთხოვე: ქალბატონო პრეზიდენტო, იქნებ, მიიღოთ ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი, უნიჭიერესი პოეტი, აფხაზეთიდან ლტოლვილი ბაგრატ ბადიდი-მეთქი.

რა პრობლემაა, როცა უნდა მოვიდესო.

„როცა უნდამ“ ცოტა არ იყოს შემაშინა, მაგრამ მაინც გახარებულმა დავურეკე ბაგრატს: მიდი, პრეზიდენტი მოუთმენლად გელოდება-მეთქი.

სამჯერ მივიდა ბაგრატ ბადიდი.

როგორც შენ არ მიუღიხარ მსოფლიო პრობლემებით დაკავებულ პრეზიდენტს, ისე პოეტი ბაგრატ ბადიდი არ მიიღო.

გულისა.

პრეზიდენტმა, როგორც იქნა, ვაყა-ფშაველას ნანატრი პრემიის დაარსება გამოაცხადა.

წავიკითხე ჟიურის შემადგენლობა და პირკატა მეცა.

ჟიურში, ქართულ ლიტერატურაში კარგად გარკვეულ პრეზიდენტს, არცერთი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არ შეუყვანია.

ერთადერთი პროფესიონალი ლიტერატორი ამ ცხრაკაციან ჟიურში ვანო ამირხანაშვილია.

თუმცა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, აი, ჟიურიც: როსტომ ჩხეიძე (თავმჯდომარე), მანანა კვაჭანტირაძე, გაგა ლომიძე, გიორგი ლობჯანიძე, ეთერ თათარაიძე, ზაზა აბზიანიძე, ვანო ამირხანაშვილი, ლევან ბრეგაძე, თამაზ ვასაძე.

თავმჯდომარე როსტომ ჩხეიძეა. როსტომი ურიგოდ როდი წერს, ბიოგრაფიულ ნარკვევებს წერს, მა-

დენტს ჩაბუღბუღებული აქვს მთელი ქართული ლიტერატურა და საოცარია, როგორ მოუვიდა ასეთი იაღლიში.

რამ მოაფიქრა, ასეთი დაბალი დონის ჟიურის შექმნა?

ალარაფერს ვამბობ იმაზე, როსტომ ჩხეიძე და მისი და ნატო ჩხეიძე ორივენი ნაცმოდრაობის წევრები არიან (ამჯერად უკვე დეპუტატები) და გააფთრებით ებრძვიან „ქართულ ოცნებას“.

ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ როსტომ ჩხეიძე და მისი და ნატო ჩხეიძე ორივენი ნაცმოდრაობის წევრები არიან (ამჯერად უკვე დეპუტატები) და გააფთრებით ებრძვიან „ქართულ ოცნებას“.

რა ხდება?

სადა ხარ, ვის მხარეს ხარ შენ, საქართველოს პრეზიდენტო?

ეს იმედი გვქონდა შენი?

*რევაზ მიშველაძე
რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის
პრემიების ლაურეატი*

რევაზ მიხველაძის
სიტყვა წარმოთქმული
ასიათასკაციან
წინასწარჩვენო მიტინგზე

2020 წლის 29 ოქტომბერს
ქუთაისში

ბატონებო,

თქვენ კარგად იცით, რომ მე არცერთ ხელისუფლებასთან ენამოწმებით არ მილაპარაკია და არც მიტინგებზე წამდაუნუნე მოხტუნავე გახლავართ, მაგრამ არ შემეძლო დღეს თქვენს წინაშე არ გამოვსულიყავი ჩემს მშობლიურ ქუთაისში, არც მეტი, არც ნაკლები 80 წლის კაცი.

გითხრათ სიმართლე, არ მეგონა, თუ 2020 წლის 29 ოქტომბერს იმ თემაზე მიტინგის გამართვის საჭიროება დადგებოდა, რისთვისაც ჩვენ შევიკრიბეთ.

მეგონა, ყველამ ყველაფერი იცის-მეთქი.

მაგრამ საარჩევნო მართონს რომ ვუყურებ, როგორც ჩანს, ზოგი რამ ერთმანეთს უნდა შევასხნოთ:

ვინ გამოიგონა ცრუ საზღვრები და ვინ ჩააბარა მტერს ახალგორი და კოდორის ხეობა?

ვინ მოუწერა ხელი მეზობელ სახელმწიფოს და ვინ უფუქმა დაავით გარეჯის მიდამო, ჩვენ ახლა უძველეს ქართულ მონასტრებში სალოცავადაც რომ არ გვიშვებენ?

ვინ გააუქმა ქართული ენის პალატა მაშინ, როდესაც 1918-21 წლებში ქალაქის მერიასთან არსებობდა ქართული ენის კომისია და ქართულის არმცოდნეს საჯარო სამსახურში პასუხისმგებელ თანამდებობაზე არ ნიშნავდნენ.

ვინ გააუქმა საარჩევნო კანონში პუნქტი იმის შესახებ, რომ პარლამენტის წევრს აუცილებლად სახელმწიფო ენა - ქართული უნდა სცოდნოდა. მითხარით, რა კანონმდებლობითი მუშაობა უნდა გასწიოს პარლამენტარმა, რომელმაც ქართული არ იცის.

ვისი მითითებით ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოებიდან „ბაში-აჩუკი“ და ყველა პატრიოტული ნაწარმოები?

ვინ გაავსო ციხეები პოლიტპატიმრებით და ვინ ედგა სათავეში უდანაშაულო ადამიანთა ცოცხით წამების კამპანიას.

ვინ დახობავდა მინაზე მტრის თვითმფრინავის გამოჩენისას, დაცვის წევრები თავზე ვარცლებს, ფანერის ყუთებს და ვედროებს რომ აფარებდნენ?

ვისი ბრძანებით იბარებდნენ შუალამეგადასულზე მოქალაქეებს და აიძულებდნენ, დაეთმოთ პირადი საკუთრება?

ვინ შემოიღო საერთაშორისო ოფიციალურ შეხვედრებზე არამშობლიურ ენაზე გამოსვლის ტრადიცია?

ვინ წაახალისა ქართული მინის და ნიალისყულის გაყიდვა ისე, რომ საქართველოში დღეს გაუყიდავი მინა სანთლით საძებარია?

ვინ გამოვიდა ერთხელ ამერიკის სენატში და ვინ განაცხადა: 40 წლის

ზევით მე საჯარო სამსახურში მოქალაქეები არ მჭირდება?

ვინ ჭამდა ჰალსტუხს თავისი პრეზიდენტული სავარძლის მოსალოდნელი დაკარგვის შიშით?

ვინ დაიწყო ქართულ ეროვნულ ძეგლებზე ნადირობა და ვინ ააფეთქა აქ, ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის ბრწყინვალე გამარჯვების მემორიალი?

ვინ გააუქმა ფაქტიურად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია? ვინ ჩამოართვა მას კვლევითი ინსტიტუტები და საქართველოში მეცნიერების წარმმართველის ფუნქცია?

ვისი წინადადებით მოაწერა ხელი განათლების უფიცმა მინისტრმა კახა ლომიაძემ (რომელიც სიტყვა „ბავშვს“ და „ექვსს“ ვერ წერდა) ბრძანებას 2006 წლის 1 ივლისს, რომლის ძალითაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან პოლიციის ძალით განდევნეს უნივერსიტეტის ყველა (2446) თანამშრომელი, რითაც ფაქტიურად გააუქმეს ივანე ჯავახიშვილის დედა-უნივერსიტეტი?

ვინ შეუსია 2007 წლის 21 აგვისტოს ღამის 4 საათზე ზონდერბრიგადა საქართველოს მწერალთა სასახლეს და ვინ გამოყარა ქუჩაში 645 ქართველი მწერალი უძვირფასეს მემორიალურ ნივთებთან ერთად?

ანა კალანდაძე, ჭაბუა ამირეჯიბი და ოტია იოსელიანი ისე ჩავიდნენ საფლავში, რომ ქართველ მწერალთა თავის სასახლეში დაბრუნებას ვერ მოესწრნენ.

ვინ დაარბია ტელევიზია „იმედი“ 2007 წლის 7 ნოემბერს და ვინ მოუწყო 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე ბართლომეს ღამე მშვიდობიან მომიტინგეებს (და მერე ორი გვამის მოყვარულმა ხელისუფლებამ ორი გვამი, კვალის დაფარვის მიზნით, მეტროს ჯიხურის თავზე შემოდო).

და ბოლოს თქვენ, ძირფასებო, თქვენს შვილებს და შვილიშვილებს არცერთ საბუთში ეროვნება რომ არ გინერიათ, ვინ არის ამაში დამნაშავე?


მიხეილ სააკაშვილი, დიას, მიხეილ სააკაშვილი და ახლა იგი ხელისუფლებაში იმ პარტიის ჩანაცვლებით ხომ არ მოძვრება, რომლის ხელმძღვანელმაც: ააშენა სამების გრანდიოზული ტაძარი და ღვთისმშობლის ტაძარი მახათას მთაზე.

გაარემონტა ყველა თეატრი, სკოლა, საშუალო ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

და სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, საკუთარი სახსრებით ააშენა ქუთაისში ორმილიარდიანი საერთაშორისო უნივერსიტეტი.

ვფიქრობ, სურათი აშკარაა: ერთ მხარეს დგას ბოროტება, ეროვნული ფენომენის მტრობა და მეორე მხარეს ღამის უნაპირო და ზოგჯერ თავმდაბლობით გაუცხადებელი სიკეთე.

ყოვლის მცოდნე, ბრძენ ქართველ ერს არჩევანის გაკეთება არ გაუჭირდება.



ბაგრატ ბადიდი

იუმორესკა

ბალადა

„ამაოების ბაზარია ჩვენი პლანეტა, ჩვენი ცხოვრება მირაჟია, თან თეატრონი... გამოგვერევა ვინმე დიდი გულის პატრონი და გვიხარია (ხშირად გვინევს თითების კვნეტაც).“

დამიგდეთ ყური: ტრივიალურს გიყვებით ამბავს, წარმოიდგინეთ: მრავალ არის ქვეყნად სამკალი, მაგრამ მომკელნი არა ჩანან... ზოგის კაკალი არა ჩხრიალებს, ხოლო ზოგის ჩხრიალებს ბამბაც...

ახლა საქმეზე გადავიდეთ: დიდი მწერალი, ვისაც უკვე აქვს დაპყრობილი ყველა მწვერვალი, ქვეყნის პრეზიდენტს შეხვედრია (შემთხვევით სულაც), მაშინ, როდესაც პრეზიდენტი მათთან მისულა სასწავლებელში (ის მწერალი პროფესორია) და სტუდენტებით გავსებულა აუდიტორია... შემდგომ ამისა, გადაიღეს ერთად სურათი, იმუხაიფეს და დასრულდა შეხვედრა მათი.

„გავქვს სათხოვარი, ქალბატონო სალომე, თქვენთან“, - დიდი მწერალი ჩვენს პრეზიდენტს მიმართავს ასე, ამ დროს დარბაზი ხალხით იყო ჯერ კიდევ სავსე (თავს, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი ვერ დაიძვრენდა).

„ჩვენ გვყავს პოეტი სოხუმიდან გადმოხვენილი, გალენილი აქვს ამ კაცს კალო თავისი წილი, კიდევ გალენავს ის ერთ ამდენს, როგორც მინდია, მაგრამ არა აქვს პირობები, დღენი მიდიან... მას უნდა თქვენთან შეხვედრა და ნუ ეტყვიან უარს“. ასე თქვა, მაგრამ ეს ცხოვრება ბრმა და ყრუა.

და პრეზიდენტმა დაავალა თავის ხელქვეითს საქმის დროულად მოგვარება, დიდი ხნით ადრე პრეზიდენტს ლექსი მივუძღვენი, აღსავსე ქებით (გულწრფელი ვიყავ, თვალთმაქცობას მე არ ვიკადრებ). მე მომენონა მაშინ მისი ინაუგურაცია, ჩართული იყო ყველა ქსელი, ყველა რაცია და მე აღვწერე ის ზეიმი და ის დღეობა, მეც მიხაროდა და ხარობდა მოსახლეობა...

ჩემს მღელვარებას უფრო მეტად ის ამძაფრებდა, რომ იყო იგი ემიგრანტთა შთამომავალი და კახეთისკენ გამაქროლეს ოცნების ფრთებმა, უხმობდა პოეტს მისი ანმყო და მომავალი და რადგან იმ დღის მნიშვნელობა კარგად მესმოდა, მსურდა როგორმე შეხვედროდი მეც ჩემს „პერსონაჟს“, მაგრამ ჩემს ზარებს არ პასუხობს მათი კანტორა (პრეზიდენტს ალბათ, თავი მოაქვს იმპერატორად).

ასე აღმოჩნდა პრეზიდენტის პირობა ბლეფი, არ აღმოაჩნდა მას სიღინჯე ხელმწიფის“, „მეფის“.

და მან ცალ ფეხზე დაიკიდა თავისი სიტყვა („ვერ ივარგაო პრეზიდენტმა“, - ეს ბევრჯერ ითქვა).

...სალობიეში არ აჭამეს მჭადი, ლობიო, პრეზიდენტი, ხომ არ არის ვინმე გომბიო.

არ უნდა იყოს პრეზიდენტი ასეთი მჩატე, რა ვქნათ, უძალლო ქვეყანაში ვაყეფებთ კატებს.

პრეზიდენტი ბოლო-ბოლო, დაჰყვება დაცვა და სინამდვილე ასეთია, ესა ვართ, რაც ვართ.

კოსტა ხეთაგური (ხეთაგური) და საქართველო

კოსტა ხეთაგური საკაცობრიო იდეალების მქონე, მრავალმხრივი პიროვნება იყო - პოეტი, პროზაიკოსი, ეთნოგრაფი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მხატვარი, თავის ხალხზე უზომოდ შეყვარებული, თავისუფლებისა და ბედნიერებისთვის თავგანწირული მებრძოლი. მისი შემოქმედება ღრმა ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს.

ოსური ლიტერატურისა და თანამედროვე ოსური ლიტერატურული ენის ფუძემდებელი კოსტა, ამავე დროს, ოსური ფერწერის ფუძემდებლადაც ითვლება.

კოსტა კავკასიის ხალხთა დიდი მეგობარი იყო. მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო ოსი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. მან კარგად იცოდა და პატივს სცემდა ქართველი ხალხის კულტურასა და მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

კოსტა ხეთაგურს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ქართველ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესთან - მიხეილ ყიფიანთან (1883-1891). მათ მეგობრობას საფუძვლად ედო საერთომიზნები და ინტერესები. მ. ყიფიანის მეშვეობით გაეცნო იმდროინდელი ქართველი საზოგადოება კოსტას შემოქმედებას.

ოსური კულტურის განვითარებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ცნობილ მწერალს დანიელ ჭონქაძეს, რომელიც საუცხოოდ ფლობდა ოსურ ენას და სტავროპოლში ოსური ენის მასწავლებელი იყო. მას თარგმნილი აქვს რამდენიმე წიგნი ოსურ ენაზე, ჩაინერა უამრავი ოსური ზღაპარი, ანდაზა, გამოცანა, თქმულებები ნართების შესახებ და გ.ცო-რიევთან ერთად გამოსცა რუსულ ენაზე, რასაც იმ დროს დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

გიმნაზიის ზედამხედველმა და ოსური ენის მასწავლებელმა შიო დვალისვილიმ, რომელიც ვლადიკავკაზის სასულიერო სასწავლებელში მუშაობდა, მრავალი წიგნი და სახელმძღვანელო თარგმნა ოსურ ენაზე; ის საუკეთესოდ ფლობდა ოსურ ენას.

მიხეილ ყიფიანის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა 1890 წელს დედა-ენაზე ოსური საანბანო წიგნების გამოცემას.

აკი კოსტამ თავისი მეგობარი დაიტირა და ოსურად და რუსულად დაწერილი ლექსით გამოეთხოვა თავის ერთგულ მეგობარს.

მიხეილ ყიფიანის გარდაცვალების გამო

მოკვდა! - ეს სიტყვა ცივად მოგორავს, ისმის მწუხარედ, სცემს ობოლად გული! გარდაიცვალა! და ახლა გლოვობ შენ, კავკასიაზე, ზღვა სინანულით! შვილი დაკარგე რა ღირსეული, რომ გვიანდრძე საუნჯედ, წმინდად... როგორც ქართველის სახე რჩეული, ჩვენს დაუფინყარ ძმამი გაბრწყინდა! განა ბევრია თავგანწირული, ვინც ხალხს შესწირა სიცოცხლე მთელი? ვისი აზრებიც არის გმირული, ვისაც ქოხებში შეაქვს ნათელი? ასეთი დიდი მებრძოლის სახელს იმეორებენ მთანი მალაღნი! ო, კავკასიაზე, ვუსმენ შენს ძახილს, რომ კვლავ ვინამო, მე, მომავალი!

(თარგმანის რედაქტორი მზია ხეთაგური)

ამ ლექსმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და ოსების საყვარელ სიმღერად იქცა. კოსტამ ფუნჯითაც უკვდავყო მეგობრის სახე და შექმნა მიხეილ ყიფიანის პორტრეტი. კოსტას შემოქმედებითი ბიოგრაფია საკმარისად არ არის შესწავლილი და დღემდე ბევრი რამ ჯერ კიდევ ამოუცნობი და

ამოუხსნელია. როგორც მაგალითად ლექსი „სალამი“, რომლის ადრესატად ბევრს მიაჩნია პუშკინი, ბევრს კი - მ. ყიფიანი.

კოსტას საქმიანი ურთიერთობა და დამოკიდებულება ჰქონდა თითქმის ყველა ქართველ საზოგადო მოღვაწესთან, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში იმყოფებოდნენ.

იგი დაინტერესებული იყო ქართული ლიტერატურით, ქართველი მწერლების ცხოვრებით. იმ დროს ალ. ყაზბეგი დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა და მძიმედ დაავადებული საავადმყოფოში იწვა ყოველგვარი ყურადღების გარეშე. ამ ფაქტს აღშფოთებით გამოეხმაურა კოსტა. მან გაგზავნა წერილი იმდროინდელ გაზეთში „სევერნი კავკაზ“, სადაც სასტიკ პროტესტს აცხადებს ავადმყოფ ალ. ყაზბეგისადმი არაადამიანური დამოკიდებულების გამო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსური ლიტერატურისა და თანამედროვე ოსური სალიტერატურო ენის ფუძემდებელი კოსტა ხეთაგური, ამავე დროს იყო ოსური ფერწერის ფუძემდებელი. პირველი ფერწერული ნამუშევარი, რომლითაც კოსტა ოფიციალურად ცნობილ იქნა როგორც მხატვარი, იყო წმინდა ნინოს სურათი. მან ამ სურათის შექმნისთვის გამოიყენა განმანათლებელ წმინდა ნონის შესახებ არსებული ქართული ხალხური ლეგენდა. მას მრავალი საყურადღებო ტილო აქვს შექმნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი დაკარგულია.

ქართველი და ოსი ხალხის ძმობა და მეგობრობა კოსტამ ასახა პოემაში „ხეთაგი“. ამ პოემაში ქართველი და ოსი ვაჟკაცები ერთად შეებრძოლებიან შემოსეულ დამპყრობლებს. აქ ოსი და ქართველი რაინდები წარმოდგენილი არიან როგორც ერთი ოჯახის წევრები, რომელთაც ურთიერთპატივისცემა და სიყვარული სამუდამოდ აკავშირებთ.

სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო კოსტამ ვერ შეძლო პოემის დამთავრება. მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა ეს ნაწარმოები, მხოლოდ 1927 წელს აღმანახ „ზიუ“-ში დაიბეჭდა.

ცნობილია ქართველმა კომპოზიტორმა, აკადემიკოსმა დიმიტრი არაყიშვილმა კოსტას ლექსზე „მთიელი ქალის სიკვდილი“, აგრეთვე პოემა „ფატიმას“ ნაწყვეტებზე: „მწყემსის სიმღერა“ და „ჩავიდა მზე“, დაწერა მუსიკალური ნაწარმოები - რომანსები. ეს რომანსები პირველად შეასრულა ვანო სარაჯიშვილმა, რაც გადატანილ იქნა გრამოფონის ფირფიტაზე და ინახება კონსტანტინე მესხიევის ლითოგრაფიაში.

მრავალმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ლექსი მიუძღვნა მის ხსოვნას. მაგ. პოეტმა ვლადიმერ გელასვილმა - „თეთრფრთიანი არწივი“; მთელი ლექსების ციკლი აქვს მიძღვნილი აკაკი გელოვანს კოსტასადმი. პოეტის გულისთქმა თარგმნა ვალერიან გაფრინდაშვილმა, გამოცემულია კოსტას ლექსები და პოემები ქართულ ენაზე, მისი მოთხრობები, თანდაართული კოსტას ფერწერული ნამუშევრებით.

კოსტას ნაწარმოებებისადმი სიყვარულის ნათელი დადასტურება კინოფილმ „ფატიმას“ გადაღება „ქართული ფილმის“ მიერ, სადაც მთავარ როლებში ქართველი და ოსი ცნობილი მსახიობები მონაწილეობენ.

კოსტას გარდაცვალებას კავკასიაში არსებული თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა, მათ შორის ქართული პრესაც. მის პატივსაცემად დიდუბის ეკლესიაში შედგა პანაშვიდიც.

კოსტას ცხოვრების შესწავლისა და მისი შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში დღესაც მიმდინარეობს მკვლევარების მუშაობა, მათ შორის ქართველებისაც. თუმცა არსებობს მრავალი ნაშრომიც მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ასე მაგ. პროფესორ ტიტე სარიშვილის ნაშრომი „კოსტა ხეთაგურის პედაგოგიური შეხედულებანი“, ფილოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორი შალვა გოზალიშვილი - „კოსტა და მისი ურთიერთობა ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან“, მ. ვალიევასა და რ. ჩოჩითის „კოსტა ხეთაგური“, ავთანდილ ცოტინაშვილის „კოსტა ხეთაგური და ქართველი საზოგადოებრიობა“; სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ნ. ახვლედიანის, ვ. იმედაძის, კ. დონაძის, გ. გორგაძის, კ. დვალის, ს. წვერავას და სხვა ცნობილ მეცნიერთა წერილები კოსტას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

„მთელი თავიანთი ცხოვრება შესწირეს თავიანთი ხალხის სიყვარულს და მონამეობრივი სიკვდილით დაიღუპნენ, როგორც ქართველი ხალხის ჭირისუფალი საგურამოს გზაზე შუბლგანგმირული ილია ჭავჭავაძე, ასევე ოსი ხალხის სახელოვანი შვილი კოსტა ხეთაგური“ - წერს ირაკლი აბაშიძე გაზეთ „ლიტერატურულ გაზეთში“ (1959 წელი).

დღესაც ქართველი ხალხი და საქართველოში მცხოვრები ოსები ყოველი წლის 15 ოქტომბერს ზეიმით არნიშნავენ კოსტა ხეთაგურის დაბადების დღეს. თუნდაც ამ მძიმე პოლიტიკურ პირობებში ყოველთვის აღინიშნებოდა მისი დაბადების დღის დღესასწაული ოსებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონში, ლაგოდეხის რაიონის სოფელ არიშფერანში, სადაც მისი ძეგლი დგას და ამავე სოფლის სკოლაში ისწავლება ოსური ენა; აგრეთვე თბილისში არის ხეთაგურის ქუჩა, სადაც მისი ბიუსტი დგას; ყურადღებას არ აკლებენ და ყოველ წელს ხდება მისი რესტავრირება და ტარდება მიტინგი კოსტას დაბადების დღის აღსანიშნავად, ეხმაურება პრესა, უნივერსიტეტში, კავკასიოლოგიის ინსტიტუტში ფუნქციონირებს პროგრამა ოსთმცოდნეობა ქართულ და რუსულ სექტორებზე. პროგრამა კომპლექსურად შეისწავლის ოსურ ფოლკლორს, ოსური ლიტერატურის ისტორიას, ოსი ხალხის ისტორიას, ოსურ ეთნოლოგიას. პროგრამას ეუფლებიან სტუდენტები ჩრდილო კავკასიიდან, ასევე სხვა ქვეყნებიდან. მომზადდა და გამოიცა ქართულ ენაზე ოსური მითები და რიტუალები, რომელიც ითარგმნება და მზადდება გამოსაცემად. პროფესორ ხ. მამისიამდეშვილის მიერ მომზადდა სახელმძღვანელო „ოსური ფოლკლორი“, რომელიც ახლა უკვე იბეჭდება - ინსტიტუტი მას თარგმნის რუსულ ენაზე და მოამზადებს გამოსაცემად. აგრეთვე ინსტიტუტში პროექტის ფარგლებში მუშავდება ოსური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო ლექსიკონითურთ - მე უშუალოდ ვხელმძღვანელობ ამ გამოცემას. ისწავლება ოსური ენა, აქვე ტარდება ყოველ წელს მისი დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო და ლექციები.

დაგეგმილია კოსტა ხეთაგურის რჩეული ლექსების გამოცემა უახლოეს მომავალში. მსოფლიოში არ არსებობს ერი, სადაც ისეთი დიდი რაოდენობით არსებობდეს შერეული ოჯახები, როგორც ოსურ-ქართულია და ეს გრძელდება დღემდე.

დღეს ოსი და ქართველი ხალხის მეგობრობას დროებით ჩრდილი მიადგა, რასაც დროზე შევლა და ძალისხმევა სჭირდება, რისი გამოსწორების იმედიც არ დაგვიკარგავს - ჩვენი გათიშვა დაუშვებელია!

ჭეშმარიტი დასკვნების გამოტანა და მიუკერძოებელი ანალიზების გაკეთება ვფიქრობ, მომავალი ისტორიკოსების საქმეა. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვიღწვიოთ... ისტორია კი შეუცდომლად გარკვევს სიმართლეს!

იზოლდა ტიგიევა (თიჯიონი) საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ოს ქალთა კავშირის თავმჯდომარე.



რეზო სტურუა

ქართველთა ქოხის საოცრებანი

მაკედონელმა ასწია წარბი, დაუსვა აზო მცხეთას მმართველად, იმან კი, საცხემ ბოლმით და ბრაზით ვერც იბერძენა, ვერც იქართველა.

ქუდზე კაციო... და. ფ ა რ ნ ა ვ ა მ ი ა მამულიშვილთა იხმო ვნებანი... და დაებედა იმ დღიდან მამულს ქართველთა ძმობის საოცრებანი.

... დაიძრა ქუჯი პონტოს ზღვის პირით მზესთან წილნაყარ კოლხთა მხედრობით, ეახლა მეფეს, როგორც ტოლი ტოლს, ბედის ერთობით და წილხვედრობით.

დასძინა, ძმაო, მიხმე და მოველ, ვართ ერთი დედის ორი შვილიო, მიწაც ერთი გვაქვს, ყალმით ნახატი, მოწყალე უფლის ხელით ქმნილიო.

ტოლს არ დაუდებთ, თუმცა, ერთმანეთს, მტერიც ერთი გვყავს, ივერთ მეფეო, შევკრათ ჩემი და შენი სამეფო, იყავ პირველი, შენ იმეფეო.

... მას შემდეგ, რამ არ გადაიარა და საჯილდაო დღესაც ლელოა, მაგრამ უფალი იცავს ამ ძმობას... და ეს უფალი საქართველოა!

მიშიკო ხალიჩაშვილი

გზავნილი გულის გალაქტიკიდან

სულზე კუზი მაქვს ამოსული, ტკივილი
 ჰქვია, მე მძულს ვაჭრები და ბინძური სულის
 „ნოქრები“ მათ სურთ მესროლონ უამრავი
 ბერდანის ტყვია, თუმც ვერ მომკლავენ ერთი ბასრი
 ხმალის მოქნევით. ყველა ცხოვრების ცეცხლმოდებულ
 ბონგში ვსხედვართ, თვალის ფანჯრებში სევდის ფარდა
 გვიჩანს გაჩრილი, ეს მე ვარ, სადაც იბადება საშინელება,
 ჩემში ხმაურობს მილიონი ღამის
 აჩრდილი. მათადორი ვარ და სიკვდილის ხარი
 დგას ჩემ წინ, კეთილ ნიქარას ის არა ჰგავს, მიჩენს
 იარებს. მალე სიბრაზით ნამომავებს ალესილ
 რქაზე, ხოლო პუბლიკა ალტაცებით
 დაიღრიალებს და ანდერსენის ზღაპარივით დამრჩება
 ცრემლი... თუმც სიცოცხლეში ყველა ვფიქრობთ,
 რალაც იქითკენ, რომ ყველა ჩვენგანს გაგვანჩია სულის
 ანბანი და მას დავეძებთ, ვინც ამ ანბანს
 ამოიკითხავს. და პუნქტი, არის მუდამ სიკვდილ-
 სიცოცხლე, მთვარე ხალია მოხატული იესოს
 ფრთაზე. მე რელსებს შორის ამოსული ყვავილი
 მქვია, ფოთლები მითრთის მატარებლის
 გუგუნის ხმაზე. ვნახე მონყენით დამტვერილი მთელი
 სამყარო, პოეტიკა და ესთეტიკა — ეს გახდა წესი.
 კალამს ავიღებ — პოს ყორანის
 სისხლიან ნისკარტს, ეს შინაგანი მსხვრევა უნდა ავსახო
 ლექსით... ჩვენ გვჯერა ღმერთის,
 ღმერთს არ ჯერა — ადამიანის,
 მოვიდა ეშმა, ოცდაათი ვერცხლით
 მოგვექრთამა. ამ კავკასიონს დააკვირდით ღმერთი
 ავადობს, კავკასიონი არის ღმერთის
 კარდიოგრამა. მე სიხარული დავატყვევე სულის
 უჯრებში, ჩემი ფიქრები მიქცევია... მძიმე ფონია...
 ამდენ სისხლძარღვში, კაპილარში და უჯრედებში,
 მოძრაობს სისხლი, ამ სიცოცხლის
 ბუტაფორია. ვილაპარაკეთ: რითმებზე და
 მეტაფორებზეც, ჰიპათიაზეც... თალესზეც და სხვებზეც
 ვიზრუნეთ... ვილაპარაკეთ ტვინის ყველა
 გალაქტიკაზე, ვერ დამიმშვიდეს სულის კალთა
 ჩამონისლული.

ჰამლეტის მამამ შეისწორა ღამის
 საყელო, მე ეს გამანდო ამ სიცივემ მტერიან
 სარკეთა... გულის ვარსკვლავის გარშემო ვგრძნობ
 ჯუჯა პლანეტებს: ტკივილს, მონყენას, სიკვდილსა და
 სასონარკვეთას. და მსურს დაინგრეს კედლებივით
 იერიხონის ეს გალაქტიკა. მრისხანედ ვხევე
 მელნიან რვეულს. გულის ვარსკვლავო, გთხოვ იფეთქე
 ისე საშინლად, სისხლის წვეთების კომეტები
 ფლეთავდნენ სხეულს.

განყდა აორტიდან ლექსის არტერია,
 რითმები სიკვდილს გაუწოდა. სულიდან მცვიოდა იასამნები და
 სულში იასამნებს რა უნდოდა. ცა ჩინურ ლარნაკს ჰგავდა და დაიმსხვრა,
 სიბნელე მიწისკენ გაიტოტა. თვალეში ვეძებდი მიმქრალ მზეს და
 თვალეში ან მიმქრალ მზეს რა უნდოდა. ვაი, რომ უფერო სულს რწმენა არ შერჩა,
 ვერ დავრგავ იმედის ალიანდრებს, მე ახლა თეზევის ვარ, დარდის
 ლაბირინთში, ეგ ძაფის გორგალი მომეცი, არიადნე,
 რომ მოვკლა მინოტავრი და უკან გამოვიდე
 და დავსვა გიგანტური წერტილი. რომ დედამიწის ტბებიდან გაფრინდეს,
 სული უთეთრესი გედვიით. განყდა აორტიდან ლექსის არტერია,
 რითმები სიკვდილს გაუწოდა. სულიდან მცვიოდა იასამნები და
 სულში იასამნებს რა უნდოდა.

თანამედროვე ფიროსმანივით
 ვცხოვრობ უაზროდ, დრო ნერვებს ჭიმავს...
 და მე ვუყურებ შენს თმებზე ღამეს, როგორც ფოთლებზე დაღუპულ წვიმას.
 ისე, ფიქრებში... თორემ აქ სად ხარ?! ხომ მიერთგულე ბოლომდის ღამის.
 ჩემ გვერდზე თვითონ მე მიჭირს ყოფნა, რადგანაც ვგავარ მოჟამულ ამინდს.
 ისევე ღამეთა შავი შაბლონი, ისევე დღეების თეთრი რუტინა.
 იმ საფერფლესაც, შენ რომ მაჩუქე, ველარ შევებე წელან უტირლად.
 თავის ქალაზე ტყვიის ნახსლეტი შემრჩება, როცა დავხუჭავ თვალებს.
 რაც შენ ნახვედი, მე ვარ ასკეტი, ვუმღერებ უდაბნოს ქარებს.
 ცხოვრებამ ცოტა გამაბოროტა, აბელის მსგავსად დღეს ვგავარ კაენს.
 ვინრო ოთახში ვსუნთქავ ყოველ წამს: სიკვდილით,
 სისხლით გაჟღენთილ ჰაერს. ეშმაკი წაიღოს ეს პოეზიაც,
 ტკივილი როცა საზარლად მიტევს! მამშვიდებს, როცა სოფელს ვიხსენებ,
 ანდა ბებუის დაკოჟრილ თითებს...

ბექა ფურცელაძე

ყვავილების ნადიმი

როგორი იყო? როგორ არის? როგორ
 იქნება? მოკრეფილი ყვავილების ნადიმი
 ფერდზე, ღვინოს ასხამენ, საზეიმოდ მგოსნები
 ხელზე ზარებს დარეკავს, ყოჩივარდი მენამულ
 მზეზე. ყვავილები ვართ, დაკრეფილი
 მხატვართა ველზე, გადაპენტულან სულანუებიც
 რომანტიკულად და მსუბუქ გრძნობით, დახატავენ
 შრომანას ბაღში უალერსებენ, ენძელები ვარდისფერ
 ნაპირს. კროკუს, იმღერე სილამაზე უტიფარ
 ეშში, ბაბუნავერებს ჩავიხუტებთ მომღიმარ
 ბენვში გაანთლა, ტიტების ტრფობამ ნადიმი
 ფერდში გადაიხარა, იღბლიანი ყვავილი მკერდში.
 კარდინალს კოცნის, სანატრელი იზომეებიც,
 ციპერუსებს კი შეიფარებს ნორჩი იები ჰიბისკუსი,
 ღვინით სავსე ლოცავს ალმოსავლეთი, დაამშვიდებს ჰებეს,
 მიმოზას. როგორ დაღლილა, ვნების ცეცხლში
 პასიფლორები, ედელვაისის სიტკობობაც
 ჩაგვიტკბარუნებს, ჩაიტკბარუნებს, ჰიმალაის ნარალატები
 ფსიქოტრიები, მისტიკურად გაგვახალისებს.
 ყაყაჩოების გულმავინცი, გამოგვიცინებს და
 კესანები, ცისარტყელად გამოიჭენებს,
 სიგუები კი ხელს უწვდიან მგოსანთ
 სიმღერას. ბაზილიკების სურნელება,
 გამოგვაღვიძებს. კოცნიან მკოცნელს, მოკრეფილი
 მხატვრის ნადიმზე, სიყვარულს უხსნის ჰორტენზია ნატიფ
 გვირილებს და ბელადონა, მომხიბვლელად
 გამოგვიღიმებს, ღამაზე თაიგულს, მიხაკები
 გამოიტირებს.

საქართველო

შენ გაზაფხულო, რომ იცოდე რა
 ღამაში ხარ, ევროპულად რომ, გამოისხამ ფერად
 ყვავილებს და მონადირე, გაზაფხულით
 მიგვინადირებს გადაულოცე, მაღლი შენი,
 მეგაზაფხულეც. ღირსად იმღერებს ტბის ჰანგებზე,
 ტრიო გედების და აზიურად, გამოიწყობს ზეცად
 მშვენებას,

გაუღიმებს, ცრემლიანი მომღიმარ
 ორკესტრს თითქოს აქა ხარ, მაგრამ მაინც,
 სადღაც მიდიხარ. ჩვენო სამშობლოვ, საქართველოვ რა
 ღამაში ხარ, დაჩაგრულიც რომ გაანათებ
 სამთავროს ჭალებს, ატმის ფოთლებით შემოიხვევ მხრებზე
 გაზაფხულს და აამღერებ, გედების ცრემლს,
 უსასრულობას.

ნარცისი

დასეტყვილ ღრუბელთა გამზეულ
 კოშმარებს, დაბოლქვილ კარიბჭის მინდვრებს და
 გორაკებს ნარცისი ტრიალებს, ტრიალებს
 გრიალებს შრიალებს ბარაქთა, ლატაკთა
 დარაჯებს. უსიტყვო ნასეტყვარს, დამგველთა
 ხალასებს, მოფრენილ წარსულთა წინაპართ
 ფალანგებს დაეძებს, სამყაროს ბოლოს და
 თავსართებს მკითხვართა უჯრაში, პასუხებს
 სანატრელს. დამტვერულ ძვლებთაგან დახოკილ
 ჯალაგებს, გასცქერის, ვარსკვლავთა შეჭიდულ
 ქალამნებს, დაცემულ მუხლებით ნამომდგარ
 ჯალალებს დაეძებს უკვდავთა, სამეფოს გასაღებს.
 ნამცეცობს ნარცისი, ტუსაღთა ქვესკნელთან
 თავზარდქცემული ცა, ზღვათა მეფეთა,
 რად ეძებ სამყაროს, ბოლომთა ვალჰარას?
 უდაბნოს ნისქვილთა, წმინდა
 ნაქალაქარს. დასეტყვილ მინდვრებს და
 დაბერტყილ ქარავანს დაგანცულ კვარცხლბეგზე,
 დაღარულს კართაგან, შრიალებს ნარცისის ცრემლები
 ხართაგან უღიმდამებელი, სამტვერვოს
 ღარღალთან. დამხობილ ფარხმალთა,
 ნუგემისმცემელთა შვილნი ქერიმზის და სურნელი მინათა,
 გლეხური ამაგთა, ავდართა ღვინათა დაეძებს
 სამყაროს გასაღებს თავ-თავთა.
 დაეძებს სამყაროს უკვდავთა ქალაქარს,
 მსტოვართა სამეფოს დაგეშილს გლახაკთა,
 უღრანს მიტოვებულს, ყვავილთა ღამანშას
 ნარცისის ფიქრები დაეცა კალაჰარს. დაიბნა
 ნარცისი დაბნეულ ზვირთებთან,
 ტუსაღთა აკლდამებს ემსგავსა კამარას,
 დახოკილ სხეულთა დასეტყვილ ნარნარას -
 აქა ვარ, აქა ვარ, აქა ვარ ახლაჟამს.



ამირან ხეცაძე

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ამირან ვლადიმერის ძე ხეცაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ამირან!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ქართველ პოეტთა კოჰორტის ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1983 წელს შედგა, როდესაც ხარაგაულის რაიონულ გაზეთში „ლენინის დროში“ დაბეჭდვით პირველი ლექსი „მამულს“. მას შემდეგ თითქმის ათეული წელი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში გაირკვა, რომ საქართველოს - თქვენსა და ჩვენს მამულს თქვენი სახით ერთი გულანთებული ერისკაცი ჰყავს, რომლისთვისაც არსებობს ერთადერთ გამართლებას სამშობლოს მსახურება, მისთვის თავდადება წარმოადგენს.

ალბათ ამიტომაც მოსწონს ქართველ მკითხველს თქვენი პოეზია, რომელმაც დაივანა პოეტურ კრებულში „სიმართლის გზა“. ამ კრებულიდან მათ ჭეშმარიტი მამულიშვილი ესაუბრება, რომლის პოეტური ნააზრვეი სიკეთისა და სათნოების სხივების ჩქერებითაა სავსე, სიცოცხლეს შესტრფის, არანაირად არ უნდა სიკვდილი და თუ ამის საჭიროება დადგება და მოკვდება, ისევე სიცოცხლისთვის აღესრულება, მისი საესავი მამულის სიცოცხლისთვის აღესრულება, მისი მშობელი ერის სიცოცხლისთვის აღესრულება, რათა საუკუნეების მიღმაც ამაყად გაისმოდეს „მრავალ-ჟამიერი“, ჩვენი მარადიული უკვდავების საგალობელი. საქართველო ხომ თქვენთვის სასწაულია და, რა თქმა უნდა, დღესასწაული. ათასი უბედურება და გაჭირვება დაგდარდებიათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მაინც ბედნიერი ხართ, რომ ქართველად გაგაჩინათ არსთა გამრიგემ, რომ ამ იგავიუნწვდომელი ქვეყნის შვილად მოველინეთ სამყაროს...

სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში ჯერ კორექტორად, შემდეგ კი მომარაგება-გასაღების ინსპექტორად; საქართველოს იუსტიციის სამინისტროში „კანონთა წიგნის“ რედაქციაში ტექნიკურ რედაქტორად.

კეთილშობილება, მოყვასის სიყვარული, სათნოება გამოგარჩევდათ მუდამ.

გვახარებს, რომ თქვენი პოეტური ნიჭი და ენერჯია დიდი გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიით აღინიშნა.

ჩვენო ამირან!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას მეგობარს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თქვენი სანუკვარი მიზნების განხორციელებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემო ამირან!

შენ ქართველ პოეტთა იმ პლეადას ეკუთვნი, რომელსაც XXI საუკუნის პოეტებად მოიხსენიებს ლიტერატურის მეისტორიე. მაშინ როდესაც, ეგრეთ წოდებული, ახალი თაობის პოეტთა ლექსი ლამის შეჭამოს ვინრო სუბიექტურმა განცდებმა: უსაგნო ჩხირკიდულაობამ ადამიანის შინაგან სამყაროში, გამოგონილმა ტკივილებმა და ყალბმა უადგილო ამოოხვრებმა. შენს ლექსებში სწორედ ის ხმები ისმის, ასე რომ სჭირდება XXI საუკუნის ქართველს. შენი პოეზია ხალასია და საუკუნური ტკივილით გაჯერებული. სწორედ ისეთ ლექსებს წერ, სულის საღებუნად რომ გამოადგება ჩვენს, მიზეზთა გამო, გამწარებულ თანამედროვეს. მართლაც რომ მღმობელი გული გაქვს. შენი პოეზიის ლირიკული გმირის თვალი ბევრს რასმე წვდება და ახლებურად აანალიზებს.

„წმინდა ტაძრები ციურ მშვენების, ღვთიურ დულაბით არის ნაგები, ჩვენ არასოდეს გადავშენდებით, ჩვენ არასოდეს დავიკარგებით“.

ღმერთმა გისმინოს, ჩემო ამირან! მაღლი და ძალა ნუ მოაკლოს გამჩენმა შენს კალამს. 60 წელი მომილოცნია!

რევაზ მიშველაძე

ამირან ხეცაძე

მთებზე ნისლების თეთრი ქაფია, მთვარეს მოსწყინდა მიწის ლოდინი, მოჩანს ჩანჩქერის ეპიტაფია და თმებაშლილი მინდვრის ლოგინი. ხსოვნას გადაჰყვავს სიცხე და გვალვა, დაჰქრის ნიაგი ფიქრთა დასებით, ჯარისკაცის დამდგარი ალვა, სოფელს არწივის თვალთ გასცქერის. გადაშლილ ველებს ნამი უხდებათ, ლამაზ ფიქრებით დარდს რომ იკლავენ, ამ უშიშარმა სოფლის მუხებმა, ელვა კისრებზე ჩამოიტყავეს. ზეცას ასცქერის დაისი მშვიდი, იქნებ ვარსკვლავთა ნახოს შეკრება, ელდისგან მთვრალი ეშვება ბინდი და დედამიწას გულში ეკვრება. ეს ჩიტუნებიც ისე გალობენ, დღეს განშორება აღარ უნდება, სანამ დღე-ღამე უხმოდ დავობენ, ფრთები გაშალეს აქ ღამურებმა. ყველა მშვენებას ვეტრფი თვალებით, ვხედავ ეს ღამეც მოდის შორტებით, თვალს ლულავენ მთის მწვერვალები, ბნელში წვებიან ჰორიზონტები.

პირ დაბიძინება

ვინ გაგიზარა კამკამა სული, ეგ ლაჟვარდები ვინ დაგიბნელა, ცა ნისლის ბამბით გადაქარგული, ცისარტყელებით ვინ აგიჭრელა. სად გაგეფანტნენ ჭინკები თვალის, რად დაჭკნენ შენი ბაგის მარწყვები, დავდივარ მწველი დარდებით მთვრალი, ლობე-ყორებს ურჩად ვანყდები. სად დაიკარგა შენი სილაღე, სად გაჰქრნენ შენი ტანის ბროლები, ერთი უარით მარტოდ მიმაგდე, დამდაგე " არა"-ს გამოქროლებით. დავეძებ შენი თვალების ელვას, რომ ისევე ვპოვო თმების გიშრები, აღარ მსურს მიწის უმიზნო თელვა, თუ შენი ნახვით აღარ მიშველი. უკვე დამჩემდა კარგო სიფიცხე, ნეტავ უშენოდ როგორ ვიცოცხლებ, მე ვერასოდეს ვერ დაგივიწყებ, მე მეყვარები მთელი სიცოცხლე.

უფლის სასწაული

ეს მხატვარი მთვარეა, ეს მზე არის მგოსანი, ფიქრთა სინარჩარეა, ოქრო-ვერცხლით მმოსავი. ქარვამ მითოვ-მოთოვა, მდელოები, კორდები, ღმერთმა დააჯილდოვა, ცა ვარსკვლავის ორდენით. ვხედავ ლამაზ სივრცეებს, მხიბლავს ზღვა და ხმელეთი, ნალკოტები მიცქერენ, მომდის ელეთმელეთი. ელდამ გადაამეტა, ქარსაც ლაღად უვლია, ეს დიადი პლანეტა, უფლის სასწაულია. ეს ბუნება გაშლილი, ულამაზეს ხედებად, ლომებრ ფაფარაშლილი, არის შემოქმედება. მე ჩამესმის სხვა ხმები, ლექსი და სიმღერები, ზეციური ჰანგები, მომდის ყელმოღერებით. მე სხვა სისხლი დამიდის, სხვა სინათლე მენტება, სხვა გენია, სხვა ხიბლი და სხვა სულისკვეთება. სხვა სიმაღლით ვირთვები, სხვა ნიაგის ქროლებით, მე ნუ გამეჯიბრებით, მე ნუ დამეტოლებით. გინდ ჩამთვალეთ ველურად, გინდ ჩამთვალეთ ტყიურად, ციდან ადრინდებულად, მესმის უვერტიურა. ვარ სიკეთით განთქმული, ბოროტების მძლეველი, მე სისხლი მაქვს ქართული, მარად აუმღვრეველი.

მშობლიური მიწის ერთი მტკაველი, მირჩენია მთელი ქვეყნის საბადოს, მე ვამაყობ საქართველოს მთა-ველით, ვენაცვალე მისი ზეცის კაბადონს. მიყვარს ყველა, ყველაფერი ქართული, ვენაცვალე ამ ზღვებსა და ამ ხმელეთს, გულში უწყვეტ ძაფით ამოხლართული, სულ რომ ასე სიყვარულით მახელებს. მე აღვავლენ მისთვის ლოცვა-ვედრებას, ავარიდო რომ ყოველი მზაკვარი, საქართველოს ვერვინ ვერ შეედრება, საქართველო არის ქვეყნის აკვანი.

სხვა სამოთხეს არასოდეს ვნატობდი, სხვა სასწაულს არასოდეს ველოდი, მე ვამაყობ საქართველოს ნალკოტით, მე ვამაყობ ღვთიურ საქართველოთი.

ჩემი ქართული სისხლი მავალებს, მკერდით დავიცვა მიწა მკენესარი, გმირთა იერი მთებს რომ გადასდევს, ჩემი სამშობლოც სწორედ ეს არის. რა შეედრება ამ ლამაზ ხედებს, რა შეედრება ამ ზვრებს, ამ ბაღებს, სხივთა გვირგვინი ახურავთ ქედებს, ცელქი ნიაგი ლექსებს აჩაღებს. ეს კედელ-ყურე, ზღვა და ხმელეთი, არ ჰგავს მავანთა უღვთო ჯურღმულებს, მტერს ემართება ელეთ-მელეთი, ჩვენს სიდიადეს როცა უყურებს. მომხვედური მაინც ვერაფერს გვაკლებს, კალთით გვიფარავს ჯვარი, სიონი... მარად გმირული ძალებით გვაგვებს, ამაყი მთები კავკასიონის.

ყველა ბილიკი და ყველა კორდი, წინაპრის სისხლით არის ნაჯერი, სანამ დაგვზაფრავს სამარის ლოდი, მამულისათვის დავიხარჯებით. წმინდა ტაძრები ციურ მშვენების, ღვთიურ დულაბით არის ნაგები... ჩვენ არასოდეს გადავშენდებით, ჩვენ არასოდეს დავიკარგებით.

შეუძლებელი უნდა შევიძლო, შთაგონებები წუთით არ მტოვებს, მე მიხარია რადგან შევიგრძნობ, დღის ეფემერებს, ლამის ფანტომებს. ზამბახთა კალთებს, ტირიფთა ზილფებს, შქერთა პერანგებს, ყაყაჩოს მკლავებს, კლდეთა ძუძუებს, ჩანჩქერთა ლიფებს, ტბაზე მოზნულ სხივთა ვარსკვლავებს. ამ ია-ვარდებს, ამ ყოჩივარდებს, ამ მწვანე ყდაში ჩასმულ მდელოებს, ქართული მთების ციურ სიმაღლეს, ქართული ქარის სადღეგრძელოებს. ქარვაში ჩამჯდარ დახუნძლულ ბაღებს, ირგვლივ ნავარდა სუნთა სიამეს, ქართული ზეცის კამკამა თალეებს ლალ-ზურმუხტების სიგრძე-სიგანეს... გულს მიმაღებს გენი ქართული, სულში მეღვრება ამ მზის კონები, ვარ სიმდიდრისგან მუხლგამართული და მშვენებებით ნაცისკროვნები.

მამული

დიდამ დაშალა ნისლის კარვები, მოჩანს ველების მწვანე ფაცერი, ხეთა მწკრივები, ბალის ქარვები, ოქრო, ბაჯალლო და აღმასები. მოდის მდინარე გამარჯვებული, მთელი სიმკვირცხლით დაქროლებული, მზის სხივებისგან გამარჯვებული, მათათა შუქებით დაბროლებული. ცად ატყორცნილან ჭალარა მთები, ირგვლივ ქართული სულის ქარია, ეს თეთრწვერება გოლიათები, მთელს საქართველოს გადმოჰხარაინ. ისმის ლამაზი ქედნის ღულუნი, ცაში არწივის რიხით ყვირილი, უბადლო ხმები ლალი ბულბულის, ვნებით ჩურჩული ნუშის, გვირილის... მოჩანს დაბლობი ყაყაჩოს ცეცხლით, ია-ენძელით, ვარდ-ზამბახებით, მიმოქარგული ფირუზით, ვერცხლით და მზის სხივებით ნაჩახჩახები. აღტაცებული ვუცქერი ხედებს, შვებისგან ტანის აკანკალებით, უფლის ნიჭისგან გაფურჩქნულ ედემს, ჰქვია მამული სათაყვანები.

რეზო ადამია

ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქე, შეიხვედ ინტერნეტის ეკრანზე, შეისწავლე წარწერები თიხაზე, ქვაზე და უძველესი სხვადასხვა მოვლენები ხეზე, ეტრატზე, მეტალზე, მაგრამ გახსოვდეს, ადვილად მისაწვდომ ქალაქის წიგნს ვერაფერი შეცვლის, დიას, მარად გახსოვდეს, კაცობრიობას თოთხმეტ ენაზე დამწერლობა მოუვლინა უფალმა; ხოლო დამწერლობამ წარმოშვა მრავალსახეობა საოცრება წიგნისა...

თანამედროვე ტექნიკის მიღწევა ინტერნეტი, ადამიანური ნიჭიდან და მეხსიერებიდანაა გამოხმობილი. ჩაქრება ინტერნეტი და — უბრალო ჩამუქებული დაფაა, მის მეხსიერებას ელექტროშუქი — დენია, რომ გვანვდის, თუ არადა შორსაა ის შენგან. წიგნი? ყველგანაა, ყველასთანაა და ყველაზე მუდმივი უახლოესი აზროვნებაა შენთან მყოფი, წიგნი ღმერთია ადამიანთან უახლოესი, თავისებური მარადიული სულისა და გონების უკვდავებაა, წიგნი ცოცხალი არსებაა, ნიჭი და აზროვნებაა. წიგნს მუდამყამს უფლის და ავტორის ანდამატური სუნი ასდის. წიგნი რაც უფრო ძველია, მით უფრო შორეული მისტიკა და უძირო კოსმოსური სიმდიდრეა საკვირველი...

გვჯეროდეს, უმაღლესი თუ საშუალო დონის ნაწარმოებითი წიგნებით როგორც მინიერ გარემოსთან, ასევე უფალთან უსასრულო ურთიერთობა გვაქვს...

„ადამიანი წიგნით ხელში არასდროს მარტო არ იქნება“ — გოლდონი.

ერთხელ ინტელექტუალების შეკრებას დავესწარი, და იყო კრიტიკული სჯა-ბაასი-საუბარი. ითქვა, ფოტოგრაფიო, მომავალში ფერწერას შეცვლისო, მაგრამ ეს ხომ ფოტოსაგან მონუსხული და დაბნეული ადამიანების აზრი იყო. განა ფერწერას შეცვლის რამე? ფერწერული სურათი ხომ ღმერთის უშუალო ჩარევითაა შექმნილი და კიდევ, საოცრება კოსმოსური ხილვებისაგან, პიროვნული დიდი ნიჭის მოვლენით. განა, მეგობრებო, წიგნს და ფერწერულ ტილოს შეცვლის თანამედროვე თუ მომავლის ტექნიკა? ისინი ხომ ინდივიდუალიზმის უდიდესი აზროვნებაა, შემოქმედებითი გემოვნებაა აუხსნელი. მერმე გაგრძელდა სევდიანი საუბარი ისევე წიგნზე, ზოგმა მზეს გაუტოლა, ზოგმა რა და რას არა, მათგან ერთ-ერთი თითქმის მოთქვამდა, რა საშინელი დრო დაგვიდგა, წიგნს როგორ ცუდად ექცვიან ადამიანებიო! და საბერძნეთიდან ჩამოსულმა ემიგრანტმა ქალბატონმა ბრძანა, ათენში საცოდაობა ვნახეო, წიგნების გორა ქუჩაში გამოყრილი იყო და მათში პლატონის, არისტოტელეს, სოკრატეს, პომპროსის „ილიადა“ და კიდევ სხვათა ნაწარმოებებიც ერიო. აი, სადამდე დააბნია თავად უცოდველმა ინტერნეტმა ადამიანებო.

ერთხელ, ასათიანის ქუჩა გადმოვჭერი და, რა ვიხილე, იაშვილის ქუჩის ბოლოს სანაგვე ყუთებთან ცალკე

დაეყარათ განწირული წიგნები. გაცოცხლებული მივედი, პირველი, რაც ხელში ჩამივარდა, ფიროსმანის სურათების ფერადად დასურათებული ალბომი, შემდეგ მერაბ კოსტავას ლექსების კრებული, რამდენიმე ქართული და რუსული ლიტერატურის და კიდევ ვინ? მიხეილ ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი, პუშკინი, დოსტოევსკი, ბულგაკოვი, ტოლსტოი, ესენინი... მერმე შევნიშნე ებრაული თორა — წარმოიდგინეთ! უცბად ცელოფნის

წიგნს ნუ შეიძლება!

პარკში სხვა წიგნებთან ერთად ჩავუშვი. მათთან ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი მხატვრის ალბომიც იდო, ისიც ავიღე, თუმცა მისი ავტორი ზოგჯერ ჩემს პერსონალურ გამოფენებზე ავადმყოფურ შურს ამჟღავნებდა...

1983 წელს, დანიამში, ქალაქ ოდენკში, მაკულატურის გროვამში შემთხვევით იპოვნეს მოცარტის უცნობი სიმფონია. ასეთი უცნაურობებიც ხდება, თურმე, ქალაქის სამყაროში.

აუცილებელია, წიგნს დავუბრუნდე, მეგობრებო, იქ ხომ ღვთის სხივები, აზრი და მზის შუქია ჩალვრილი. ინტერნეტს, ტელევიზიას, რადიოს ჩვენს ცხოვრებაში უზარმაზარი ფუნქციები აქვთ. წიგნმა რა დაგიშავათ? რატომ გამოყარეთ თქვენი ბინებიდან? არ შევრცხვით, თანამედროვენო, დროულად აზრზე მოსული მომავალი თაობების წინაშე...

წიგნი, მეგობრებო, ათასეული წლებიდან მოყოლებული, ევოლუციური ცივილიზაციაა, რა თქმა უნდა, დროთა ჟამში იცვლიდა ფორმას და მასალას, მაგრამ ღვთიური კოსმოსური სახე ადამიანისა მარადიულია, მას მომავალში მრავალი და სასწაული ტექნიკური შეგირდი აღმოაჩნდება, მაგრამ წიგნი, როგორც დედამიწა ვარსკვლავების ფენომენი, ფასდაუდებელ განძად დარჩება...

სამყარო კუნაპეტი სიბნელეა, მადლობა უფალს, მისი სივრცის გარკვეულ ფართობს მზეები ანუ ვარსკვლავები ანათებენ: თანატოლი თუ თანაფარდობითი მზეებია, ალბათ ორი ათას ხუთასზე მეტ ხალხთა ენაზე ამეტყველებული წიგნები.

წიგნი, როგორც მოგახსენეთ, სულია უკვდავი, ღმერთის საუბარია, შენი და მსოფლიოს მრავალ ერთა წარსული, აწმყო და მომავალია; წიგნი უფალივით პლანეტის ყველა ენაზე მოსაუბრეა; წიგნი კეთილი ლოცვაა უსასრულო, ღმილი, სიხარული, სევდა, გლოვა, გახსენება, იმედი, სწავლა, შეგონება, სიძულვილი და ომები, აღტაცება, განცდა, გახელება, ფიქრი და დუმილი; მოვლენათა სწორი ხედვა, შთაგონება, დაუფინყრობა, შენში ახალი და განსხვავებული სიცოცხლე, ჭირ-ვარამი, ტრაგედია-დრამა და სიყვარული ღვთიური, ჭეშმარიტება მინიერი და კოსმიური; ინტიმის მრავალსახეობათა უსასრულობაა, დაღლა, მობეზრება, განსჯა, შედარებები და დატოლება; განძი შეუფასებელი, ამ დროს მზის სხივივით ყვე-

ლასათვის მისაწვდომი და ნებისმიერთათვის გარდამავლობითი საკუთრება; უთვალავი ფერწერული ნახატების დასურათებები თუ მრავალსიუჟეტიანი ფოტოსურათი მასში განთავსებული; მზის, მთვარის, ვარსკვლავების გალობაა და წიგნთა შორის უპირველესი ბიბლიაა, ახალი აღთქმა — ქვეყნიერების უსასრულობის დაუმთავრებელი ხატი. წიგნშია ასახული დაბადება, ბიოგრაფიები, ისტორიები, მონოგრაფიები, ლექსები, ნოველები, მოთხრობები და რომანები, მხოლოდ წიგნითაა მა-

რადიულად ასხმული, ისინი ხომ უკვდავების ხეა ღვთიური ნაყოფით. წიგნშია აღწერილი სიკვდილის ანუ გარდაცვალების ათასნაირი სცენები, საფლავები, აკლამები, ყორღანები, პირამიდები და გაუშიფრავი ურთულესი აზროვნებაცაა წიგნში შენახული. წყარო, დღენიადგ რომ გვასწავლის, გვიხსნის და ბრძნულ განმარტებებს გვაძლევს მეცნიერებაზე, ფილოსოფიაზე, ასტრონომიაზე და ასტროლოგიაზე. თეატრზე-კინოზე უღრმესი სწავლებაა მედიცინის, არქეოლოგიის, გეოლოგიის. წიგნი ნიჭიერ და ჭკვიან ადამიანთა მკვიდრი სასთუმალაა უტკბესი, ათასფერადი სიზმრების და ოცნების ამყრელი, სწავლის მიღების მზიური სხივი. ალბათ ჩვენი გარდაცვალების მერმეც კითხულობენ წიგნს სულნი ჩვენნი. ერთ-ერთი ნობელიანტი მეორეს წერს: მე თქვენი წიგნი წავიკითხე და ათი წელიწადის სიცოცხლით იმდენ სიამოვნებას არ მივიღებ, რაც შენმა წიგნმა მომანიჭაო. წიგნი ზეციური არქეოლოგიაცაა ძნელად შესასწავლი. და ისევე, წიგნი ღმერთია უახლოესი და მიუწვდომელი — იდუმალელებით სავსე, ოქრო-წარმოსახვების და ფანტაზია-მუზის ვერცხლის სკივრი; წიგნში ზეცაზე არანაკლებ სახლობენ ღმერთები და ჩვენი უფალი იესო ქრისტეა (რომელზეც ახლახან რევან მიშველაძემ უკვდავი რომანი შექმნა). მარიამ ღვთისმშობელი, ანგელოზები, მოციქულები და წმიდანები. შესაძლებელია უსასრულო სივრცეზე ბევრად მეტად. (ზეცა ხომ, უმდიდრესი ყველაფრის აღწერის საოცრება — მეხსიერება, ენციკლოპედიაა კოსმოსური; სამწუხაროდ, მხოლოდ ღვთისგან რჩეულნი რომ კითხულობენ ამ უხილავ საგანძურს...) ამიტომ, მეგობრებო, წიგნს მოეპყარით, როგორც უნიკალურ ხატებს, ჯვარს და ეკლესიებს; წიგნი ყოველ ძვირად შენაძენ ფუფუნებაზე, სიმდიდრეზე, ოქროზე, ვერცხლზე, ბრილიანტზე, სხვადასხვა ფულზე თუ ძვირფას ქარვასლებზე ბევრად უნიკალური და უფლისკენ მავალი იალქნიანი მზისფერი ხომალდია. უხსოვარი დროიდან მოყოლებული ნებისმიერი წიგნის მიცვალებულის საფლავში ჩაყოლებას ერიდებოდნენ, რადგან ის უკვდავი სიცოცხლე და სული იყო და არის; სულის მინისქვეშეთში ჩაშვება სამყაროს უზენაესისაგან მიუღებელია. დიადური მზისა არ იყოს, მხოლოდ მისი უკვდავი სხივია ყველგან მწვდომი.

წიგნი ვაჟკაციური შემართებაა... როდესაც მდიდარი წიგნსაცავი — ბიბლიოთეკა გაგაჩნია, ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალსულიანია შენი ოჯახი, მცირე პლანეტაა, პანთეონია ყოველთა მნიშვნელოვანთა და დიდებულთა სავანე... წიგნი უარყოფით და დადებით გმირთა მოსვლა-წასვლა-გარდაცვალებაა, შობა და სიახლე უსასრულოდ; ქვეყნიერების — დედამიწის, კოსმოსის აღწერა — მრავალსახეობანი დაცემათა გაშლაა; წიგნი მუსიკაა ყველგან და ყველასთან მწვდომი, მხატვრობაა ურთულესი; პოეზია უძირო, თავად ხომ ლამაზია დროსთან შეხამებული; მისი შემქმნელი ავტორის დიდება და სახელია უკვდავებით. წიგნი ნიჭს ინახავს და გენის ციხე-სიმაგრეა; უნიჭობას თვითნებურად დევნის, ანუ დაბალი ერთეულნი ერთობლივად იკარგებიან. წიგნი ჩვენში უკლებლივ ყველაფერს განიცდის და გარემოსგან მძაფრად დამუხტულია. წიგნი დედის რძესავით საამოა და ყოველთა მკვება-აღმზრდელი ძუძუა. არ დავივიწყოთ, მეგობრებო, წიგნი რომ ჰომეროსია, დანტეა, სერვანტესია, შექსპირია, რუსთაველია, ომარ ხაიამია, ბალზაკია, ბუდას მოძღვრებაა, ალაჰის სწავლებაა. წიგნი ებრაული საოცარი ნიჭის და სიბრძნის სკივრია: ბიბლიაა, ათი მცნებაა და მოსეს დაბადებას ინახავს, ოთხთავია მარადიული. წიგნშია აღწერილი და გაშიფრული უძველესი იეროგლიფები და ეგვიპტურ-ბაბილონური ღვთიურ-მისტიკური ხელოვნების და აზროვნების იდუმალებანი. წიგნმა შექმნა ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, წმიდა დავით აღმაშენებელი წიგნს ატარებდა ყველგან და ომშიც... წიგნმა აღმოაცენა ათენის უდიდესი აკადემია, თანადროულად ჩვენი სიამაყე ფაზისისა. წიგნმა და ქართულმა დამწერლობამ ღვთიურ დონეზე აამალა გელათის და იყალთოს აკადემიები.

ატლანტიდელის სამოცდაათი ათასი სქელტანიანი უნიკალური წიგნი, რომლებიც დაინვა ალექსანდრიის უდიდესი ბიბლიოთეკის ხანძრისას, რაზეც გულდათუთქული მთელი ცხოვრება მოთქვამდა დიდი რუდოლფ შტიინერი: სრულყოფილი სწავლება ყოფილა კოსმოსზე და საერთოდ სამყაროზე. ალექსანდრიის ფანატიკურმა ცეცხლმა შთანთქა ღვთიური აზროვნება და ადამიანები დიდი ხნით ჩამოშორდნენ ვარსკვლავთური კულტურის სწავლების იდუმალებას. სწორედ წიგნზე მოთხოვნილებამ შექმნა ჩვენი ათასწლეულის ქალაქის სულიერი სამო ადამიანური ბუნებისა. ვიმეორებ, მრავალ ათასწლოვანი კულტურა და ცივილიზაციები წიგნად პირველად დაინერა თიხაზე, ქვაზე, მეტალზე, პაპირუსზე, ხეზე, კედლებზე, ეტრატზე და ბოლოს თანამედროვეობის და მომავლის სიმდიდრე ქალაქზე.

„ჩემს ფერხთით რომ დაალაგონ მთელი მსოფლიოს სამეფოების გვირგვინები ჩემი წიგნებისა და კითხვის სიყვარულის სანაცვლოდ, მე ყველას უარვეყოფი“ — ფენელონი. წიგნს გულგრილად ნუ მოეკიდებით, მეგობრებო და უფალივით ის არასოდეს გიღალატებთ.

თემურ ფანჯიკიძე

ჯოგო

საქონლის ჯოგო უთენია დაიდრა... საქონლის ჯოგო უთენია დაიდრა...

საქონელი აქ მისის ბოლოს, ხე-ნა-თესვის დამთავრების შემდეგ ამორეკეს... საქონელი აქ მისის ბოლოს, ხე-ნა-თესვის დამთავრების შემდეგ ამორეკეს...

თენდებოდა. მწყემსები ერთმანეთს გადასძახობდნენ და გასაკეთებელ საქმეებს უთანხმდებდნენ... თენდებოდა. მწყემსები ერთმანეთს გადასძახობდნენ და გასაკეთებელ საქმეებს უთანხმდებდნენ...

საჩინებების კარი ფართოდ გააღეს და საქონელმა დენა იწყო. ჯოგს მთაში არაერთხელ ნამყოფი, შავ-ნითელა ფერის, ზორბა და ღონიერი ხარი პირველა გაუძღვა... საჩინებების კარი ფართოდ გააღეს და საქონელმა დენა იწყო.

საქონელმა ერთბაშად იგრძნო, რომ სახლში ბრუნდებოდა, ამიტომ, ერთი ნამითაც აღარ ჩერდებოდა... საქონელმა ერთბაშად იგრძნო, რომ სახლში ბრუნდებოდა, ამიტომ, ერთი ნამითაც აღარ ჩერდებოდა.

ტრასაზე გასულმა ჯოგმა მთლიანად გადაფარა გზა, მოძრაობა შეაფერხა და თბილისიდან მომავალი მანქანები სიგნალებით ძლივს იკვლევდნენ... ტრასაზე გასულმა ჯოგმა მთლიანად გადაფარა გზა, მოძრაობა შეაფერხა და თბილისიდან მომავალი მანქანები სიგნალებით ძლივს იკვლევდნენ.

იმ ღამეს, ზაფხულის პირობებში თავისუფლებამიჩვეული, გალალბულ საქონელი, შეზღუდულ, დახურულ შენობაში მოუსვენრად იყო, ფხიზლობდა და ბოსლებიდან გამუდმებით ხმაური გამოდიოდა... იმ ღამეს, ზაფხულის პირობებში თავისუფლებამიჩვეული, გალალბულ საქონელი, შეზღუდულ, დახურულ შენობაში მოუსვენრად იყო, ფხიზლობდა და ბოსლებიდან გამუდმებით ხმაური გამოდიოდა.

დილა ნათელი და მზიანი გათენდა. მწყემსებმა საქონელს თავი მოუყარეს და მდინარისაკენ დაიძრნენ... დილა ნათელი და მზიანი გათენდა. მწყემსებმა საქონელს თავი მოუყარეს და მდინარისაკენ დაიძრნენ.

როდესაც ურთიერთგადაკიდებულმა ხარებმა ერთმანეთი დაინახეს დაიძაბნენ, თვალები დაუნითლდათ და დაუ-სისხლიანდათ, ფეხით მიწის თხრა და მუქარის ბლული დაიწყეს... როდესაც ურთიერთგადაკიდებულმა ხარებმა ერთმანეთი დაინახეს დაიძაბნენ, თვალები დაუნითლდათ და დაუ-სისხლიანდათ, ფეხით მიწის თხრა და მუქარის ბლული დაიწყეს.

ირგვლივ დროხები, პატარა მოზერები, უშობლები იდგნენ და შემფოთებულნი შეჰყურებდნენ, თუ რა მოხდებოდა... ირგვლივ დროხები, პატარა მოზერები, უშობლები იდგნენ და შემფოთებულნი შეჰყურებდნენ, თუ რა მოხდებოდა.

ორივე ხარი დიდი ნონის, ზორბა და ძლიერი იყო. შარშანდელ ბრძოლაში პირველამ იმარჯვა და ახლა, ბულია რევანშის აღებას და პირველობის დაჩემებას ცდილობდა... ორივე ხარი დიდი ნონის, ზორბა და ძლიერი იყო. შარშანდელ ბრძოლაში პირველამ იმარჯვა და ახლა, ბულია რევანშის აღებას და პირველობის დაჩემებას ცდილობდა.

ჭიდილი დიდხანს გაგრძელდა. ძალები თითქმის თანაბარი აღმოჩნდა, ამიტომ ძნელი იყო იმის თქმა, თუ საბოლოოდ ვინ სძლევდა და ვინ გაიმარჯვებდა... ჭიდილი დიდხანს გაგრძელდა. ძალები თითქმის თანაბარი აღმოჩნდა, ამიტომ ძნელი იყო იმის თქმა, თუ საბოლოოდ ვინ სძლევდა და ვინ გაიმარჯვებდა.

საერთოდ სიმღერა უყვარდა, განსაკუთრებით საოპერო არიები, მაგრამ შესრულებით აროდეს შეუსრულებია, თუმცა ერთხელ მამამისმა ვანო სარაჯიშვილის ფირფიტა მოიტანა, და მოსმენილმა რომ იტყვიან გააოგნა... საერთოდ სიმღერა უყვარდა, განსაკუთრებით საოპერო არიები, მაგრამ შესრულებით აროდეს შეუსრულებია, თუმცა ერთხელ მამამისმა ვანო სარაჯიშვილის ფირფიტა მოიტანა, და მოსმენილმა რომ იტყვიან გააოგნა.

დასისხლიანებულმა, რქამოტეხილმა და შერცხვენილმა ხარმა მდინარე გადალახა და გალმა ნაპირზე მართო დადგა... დასისხლიანებულმა, რქამოტეხილმა და შერცხვენილმა ხარმა მდინარე გადალახა და გალმა ნაპირზე მართო დადგა.

ნოდარ კობერიძე

არია მანაუსი

შერო უფრო სწორედ შერმადინი, გვარად ბერი, სრული გვარით არავინ მოიხსენიებდა, პარიზში ბასტილის უბანში, ახლი ოპერის არემიდაში დაიბადა... შერო უფრო სწორედ შერმადინი, გვარად ბერი, სრული გვარით არავინ მოიხსენიებდა, პარიზში ბასტილის უბანში, ახლი ოპერის არემიდაში დაიბადა.

საერთოდ სიმღერა უყვარდა, განსაკუთრებით საოპერო არიები, მაგრამ შესრულებით აროდეს შეუსრულებია... საერთოდ სიმღერა უყვარდა, განსაკუთრებით საოპერო არიები, მაგრამ შესრულებით აროდეს შეუსრულებია.

მანაუსი შუა ბრაზილიაში ამაზონისა და რიო-ნეგრუს შესართავთან მდებარეობს და იქ სადაც ნამდვილი ვეშაპი მდინარე ამაზონი ფაქტიურად შლის მხრებს და ლამის ზღვად ქცეული უცბად ატყვევებს უბირებს... მანაუსი შუა ბრაზილიაში ამაზონისა და რიო-ნეგრუს შესართავთან მდებარეობს და იქ სადაც ნამდვილი ვეშაპი მდინარე ამაზონი ფაქტიურად შლის მხრებს და ლამის ზღვად ქცეული უცბად ატყვევებს უბირებს.

დაბაიჯვის რა ფეხი მინაზე, თევზის საშინელი სუნი ეცაო. ქალაქი ზღაზვნიტ ცხოვრობდა. საღამოთი კი სამბას მელოდია და მომღერალთა შეძახილები გამაყრუებელ ღრინავებს ყურთასმენა მიჰქონდა... დაბაიჯვის რა ფეხი მინაზე, თევზის საშინელი სუნი ეცაო. ქალაქი ზღაზვნიტ ცხოვრობდა. საღამოთი კი სამბას მელოდია და მომღერალთა შეძახილები გამაყრუებელ ღრინავებს ყურთასმენა მიჰქონდა.

სკვლავნი გამოსულან მის სცენაზე, მაგრამ ხელოვნური კაუჩუკის აღმოჩენამ უცბად დასცა ქალაქი, ეკონომიურმა კრიზისმა კი კინალამ დაღუპა, მაგრამ აქ ამაზონი შლიდა ფრთებს... სკვლავნი გამოსულან მის სცენაზე, მაგრამ ხელოვნური კაუჩუკის აღმოჩენამ უცბად დასცა ქალაქი, ეკონომიურმა კრიზისმა კი კინალამ დაღუპა, მაგრამ აქ ამაზონი შლიდა ფრთებს, და ეს ვეშაპი მდინარე გახდა, მარჩენალი ქალაქისა, ახლა კი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში იმართებოდა.

გამოიცივალეს თუ არა სულის მოთქმა არ აცალა, აკრედიტაცია გაიარა და ოპერის თეატრისკენ გასწავლა. ისეთი ფეხაკრებით უახლოვდებოდა, როგორც მონადირე ქორბუდა ირემს, კესანემ იგრძნო, ხელები, როგორ დაენამა და გაცივდა ხელი მის ქმარს, რომელიც მის ხელს ჩაჭიდებული, მთელის ძალით ისე უჭერდა, რომ ქალს ტკივილებმა ცრემლები მოჰგვარა, მაგრამ იცოდა უნდა გაეძლო, სხვა გზა არ იყო... გამოიცივალეს თუ არა სულის მოთქმა არ აცალა, აკრედიტაცია გაიარა და ოპერის თეატრისკენ გასწავლა. ისეთი ფეხაკრებით უახლოვდებოდა, როგორც მონადირე ქორბუდა ირემს, კესანემ იგრძნო, ხელები, როგორ დაენამა და გაცივდა ხელი მის ქმარს, რომელიც მის ხელს ჩაჭიდებული, მთელის ძალით ისე უჭერდა, რომ ქალს ტკივილებმა ცრემლები მოჰგვარა, მაგრამ იცოდა უნდა გაეძლო, სხვა გზა არ იყო. და აი აპყვენენ კიბეს ვარდისფერი და შენობა მთელი თავისი სიღიადით წარსდგა.

ოპერის შენობა, მართლაც რომ არქიტექტურულ შედეგს წარმოადგენდა. აფიშას შეავლეს თვალი, ვერდის ოპერა „აიდა“ თამაშდებოდა იმ დღეს, -ეს პატრიოტული ოთხმოქმედებანი ოპერა, რომელსაც საბედისწერო როლი უნდა შეესრულებინა შეროს ცხოვრებაში. ისე ჩქარობდა ბილეთების შეძენას, რომ ნესიურად ვერც კი აღიქვა რა იდგმებოდა დღეს. ბილეთები საკმაოდ სოლიდური თანხა ღირდა, მაგრამ მაგას ჩიოდა, საათს შეხედა მთელი სამი საათი რჩებოდა სპექტაკლის დაწყებამდე... ოპერის შენობა, მართლაც რომ არქიტექტურულ შედეგს წარმოადგენდა. აფიშას შეავლეს თვალი, ვერდის ოპერა „აიდა“ თამაშდებოდა იმ დღეს, -ეს პატრიოტული ოთხმოქმედებანი ოპერა, რომელსაც საბედისწერო როლი უნდა შეესრულებინა შეროს ცხოვრებაში. ისე ჩქარობდა ბილეთების შეძენას, რომ ნესიურად ვერც კი აღიქვა რა იდგმებოდა დღეს. ბილეთები საკმაოდ სოლიდური თანხა ღირდა, მაგრამ მაგას ჩიოდა, საათს შეხედა მთელი სამი საათი რჩებოდა სპექტაკლის დაწყებამდე. შესასვლელს მიაშურა და ისეთი მავკდრებელი თხოვნით, შესთხოვა რომ ადრე შეეშვათ, რომ უარი ვერ უთხრეს, თანაც გულზე ჩამოკიდებულმა პრესის აკრედიტაციის საშემაც იძუშავა და ზღაპრულ შენობაში შეაბიჯა.

შეაბიჯა და უცბად დატრიალდა ზღაპრული სამყარო. აქ ისე იყო ჩაგვირისტებული რენესანსი, თანამედროვე კლასიციზმთან რომ მისი სიღიადე თავს გართმევდა. დაიხაფრა!

ბარში შამპანურის ბოკლები შეავსებინა, ჩემო ყვავილნაროო უთხრა ცოლს ბოკალი გამოსცალა და ლოყაზე აკოცა, კესანეს კი ჯერ ნესიურად ბოკლიდან შამპანური სარც კი მოესვა, რომ უკვე შესამე ბოკალს აცვლიდა. სპექტაკლის დაწყებამდე, კიდევ სამის გმოცლა მოასწრო, ამას დაუმატეთ სამ ანტრაქტზე შესული სამი დედა და შეიძლება მეტიც და მიხვდებით რა მდგომარეობაში იქნებოდა სპექტაკლის დაწყების წინ. გვარიანად შემთვრალი შეეგება მესამე ზარს. მეორე სართულზე ლოყაში განთავსდნენ.

პირველსავე აკორდზე მისმა სულმა კესანესთან ერთად დატოვა სცენა და ყვავილნარად ქცეულ კესანესთან ერთად საქართველოში ამოყო თავი. ეთიოპელები და ეგვიპტელები, უცბად გაქრენ და გენიალურმა მუსიკის ჰანგებმა ბედკრულ სამშობლოში დააბრუნა. ცოლს უფრო მაგრად ჩაეჭიდა და იტალიურის არ მცოდნეს ყველაფერი ესმოდა. გამარჯვებულთა დაფდაფებზე ოფლმა სულ დაუსვავდა პერანგი. შესვენებაზე ცოლს მაჯაში წვდებოდა და ბარისკენ მიარბენინებდა. კესანეს ფერი დაკარგოდა, მაგრამ უსიტყვოდ მაინც ემორჩილებოდა და ფინალური აკორდიც სამშობლოზე შეყვარებულნი ცოცხლად დაამარხეს! ტაშმა შეძრა იქაურობა. მაგრამ შევოს თავი ჩაელუნა და იცრემლებოდა და მერე უცბად, ხალხს სკრიპადა, ნოსტალგიურ სევდაში ადღევებულნი ხმა მოესმა. ყველა შეჩერდა და იმ ლოყას მიაცქერდა, საიდანაც ეს ჰანგი მოისმოდა. შერო მღეროდა:

„საქართველოვ, ლამაზო. სხვა საქართველო სად არის“...

ხალხი მონუსხულივით გაშეშდა, ჰანგს აკუსტიკაშიც ბანი მისცა. იმდენად ტკბილი იყო სიმღერა, რომ ადგილიდან არავინ იძვროდა, მერე კი პატარა, მაგრამ ჯერ არნახული ოვაცია გაიმართა. ამით გათამამებული შერო, ფეხზე წამოიჭრა და მთელი ამაზონის გასაგონად საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი წამოიწყო:

„ჩემი ხატია სამშობლო“.... მაყურებელი ტაშით აპყვა, კესანეც აპყვა, ოღონდაც ყვავილნარის სურნელს ამჯერად პირიდან აფრქვევდა.

მორჩა ჰიმნს თუ არა, თავი დაუქრა მაყურებელს და მათ ტაშს თავისიც მიაყოლა.

ასე გასრულდა ესე ამბავი, თქმა არ უნდა, ცოლ-ქმარი ლიშუხინამდე ტაშით მიაცილეს, შერომ კი დაძრული მანქანიდან თავი გადმოჰყო და შესძახა - ვივა მანაუს, ვივა ჯორჯია!



ლერი ალიმონაკი - 80



სიმონ ზაქარაია - 80



ცოტნე ალბუთაშვილი - 70

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლერი ალიმონაკის ძე ალიმონაკი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ლერი!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო თანამოქალაქე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ უღირსეულეს წარმომადგენელს, ქართული მწერლობისა და კულტურის უებრო სამსახურში ჭაღარაშეპარულ შემოქმედს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

1965 წელს გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლიტერატურული ნერილი, „სულიკოს“ ავტორების, სულმანთა აკაკისა და ვარინკა ნერეთლის ურთიერთობებს რომ განიხილავდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძალზე გაგიმართლათ, რადგან მსოფლიო პოეზიის ამ შედეგის მაღლი და მირონი დღევანდლამდე გამოგყვით და იმ ლამპრად იქცა, ათწლეულების განმავლობაში მწერლობის უღრანებში გზას რომ გინათებდათ პილიგრიმად ქვეულ ჭეშმარიტ შემოქმედს. მოგვიანებით ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევაც უძღვევით ვარინკა ნერეთელს და ასე დაიწყო თქვენი მწერლური ცხოვრება, რომელიც ასეთი ძალმოსილებით გრძელდება აქამომდე. თქვენი ლექსები, მხატვრული თარგმანები, რომანები, ესსეები, ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები, პუბლიცისტური სტატიები, თეატრალური რეცენზიები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ერთი დიდი გერმანელი ნერდა, რომ გერმანელი მწერალი მარტივილი მწერალიაო. მაშინ რაღა უნდა ითქვას ქართველ მწერლებზე, რომელთა უმეტესობას წამების გზებზე სიარული არგუნა ბედისწერამ. რა გასაკვირია, რომ თქვენი, თავად ჯვარცმული შემოქმედის, შთაგონების წყაროდ ტერენტი გრანელი ქვეულისყო, ჭეშმარიტად მარტივილი პოეტი, ლექსის ვულკანურ მდულარებაში დაფერფლილი მგოსანი. რა არ გააკეთეთ, რომ ამ ტანჯულ პოეტს კუთვნილი ადგილი დაეკავებინა ქართული პოეზიის პანთეონში. ოთხჯერ გამოეცით მისი პოეტური კრებულები; მიუძღვევით მოგონებათა წიგნი „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“; ბიოგრაფიულ-ესეისტური რომანები „კვირის ნირები“ და „ჩემი გვარი იგრანელი“, მემუარული წიგნი „გრანელის ლანი“... ამიტომაც ითვლებით და სრულიად სამართლიანადაც, გრანელოგის ფუძემდებლად.

ქართველი მკითხველი მოხიბლა თქვენმა შესანიშნავმა რომანმა „ელი-აზარის დაბრუნებამ“, რომელიც აზროვნების სიღრმითა და მხატვრულობით გამოირჩევა.

„უამი სიწმისა“ - ასე ჰქვია თქვენს პოეტურ კრებულს, რომელშიც სამშობლო ქვეყნის უბედობით გულმძერული შემოქმედის სულიერი ღაღადისია აღბეჭდილი.

ფართო საზოგადოება გიცნობთ, როგორც ღრმად განსწავლულ კრიტიკოსს, რომელიც წარმატებით იკვლევს თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების ტენდენციებს. ცალკე გამოკვლევა უძღვევით ქართული ვერლიბრის წარმომავლობასა და გენეზისს. თუმცა არც წინაპრები დაივიწყეთ და ბრწყინვალე გამოკვლევანი უძღვევით ქართველთა მეფეთ-მეფის დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისას“ და ვაჟა-ფშაველას საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე პოემებს.

მრავალი პუბლიცისტური სტატიის ავტორი ხართ, რომლებმაც დაივიწყა ისეთი კრებულები, როგორცაა „სანთლის შუქზე მინანერი“, დრო და დრამები“ (3 წიგნად), „შვიდი დღის ქრონიკა“, რომლებშიც ეროვნული მოძრაობის სათავეებთან მდგარი ერისკაცის სულიერი ღაღადისია აღბეჭდილი.

ჩინებულმა მთარგმნელმა მართლაც რომ ჩინებულად თარგმნეთ ჩინელი ბრძენის ლაო ძის თხზულება „დაო დე ძინი“, აგრეთვე ინდური ფილოსოფიურ-რელიგიური ძეგლი „უპანიშადები“, რომლებმაც არაერთ გამოცემას გაუძლო და გამოსვლისთანავე იქცა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშად...

მრავალი წელი იღვანეთ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, როგორც უფროსმა მეცნიერ-რედაქტორმა, არჩეული იყავით ჟურნალ „რინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად...

თქვენი შემოქმედება, თქვენი ნაყოფიერი ღვაწი და რუდუნება ილია ჭავჭავაძის, აკაკი ნერეთლისა და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ჩვენო ლერი!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, დღეგრძელობასა და მზებრძელობას გისურვებთ მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი სიმონ დომენტის ძე ზაქარაია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო სიმონ!

ჩვენო ნაცადო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან პოეტსა და მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

ჩვენთვის, თქვენი მეგობრებისთვის, თქვენ იმ დიდ ქართველ რაინდთა ღირსეული შთამომავალი ხართ, ვინც საქართველოს მეციხოვნეს წარმოადგენდა და მკერდით იცავდა სიცოცხლეზე ძვირფას სამშობლოს. თქვენ, სრულიად მშვიდობიანი პროფესიის მოქალაქე, აფხაზეთში დატრიალებული ჯოჯოხეთური ტრაგედიისას მყისვე ჩადექით ქართული მინის დამცველთა რიგებში, ორჯერ დაიჭერთ სატანის მოციქულთან უთანასწორო შერკინებაში, მაგრამ ბოლომდე ვაჟკაცურად იცავდით მშობელ ქვეყანას, წინაპართა საფლავებს...

სწორედ იმ ტრაგიკულმა დღეებმა გააღვიძა თქვენში პოეტური ენერგია, რომელიც შემდგომ ჩინებულ ლექსებად გადმოიღვარა. პირველი ლექსები 2000 წელს გამოაქვეყნეთ გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“ და მას შემდეგ აქტიურად იღვწით სამწერლო სარბიელზე. თქვენი პოეტური კრებულები „მონატრება“ და „ჩემი სამშობლოს საყვარული“ მოიწონა ქართველმა მკითხველმა, რადგანაც მათში სისადავე და სათქმელის ცხადად გადმოცემის უნარი პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს.

ჯოჯოხეთში განვილიმა დრომ ჩინებულ პუბლიცისტად ჩამოგაყალიბათ და თქვენც ცდილობთ ჭეშმარიტი მემატინანის დარად ასახოთ როგორც XX-XXI საუკუნეების კაცობრიო ბარბაროსთა სახე, ისე ქართველთა ვაჟკაცური ბუნება, გასაჭირის დროს ერთ მუშტად შეკვრის ნიჭი და უნარი. სწორედ ამით გამოირჩევა თქვენი პუბლიცისტური კრებულები „დევნილები გოლგოთის გზაზე“, „სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდები“, „ესსეი, პუბლიცისტიკა, ქრონიკა“, „მუშტალავი მანდილი“. მათ გარდა თქვენს კალამს ეკუთვნის უაღრესად საინტერესო წიგნები „ხელოვნება ხალხის კუთვნილება“, „ცოტა რამ ძველი კოლხეთის ცივილიზაციის შესახებ“, „გზა უფლისაკენ“.

ბატონო სიმონ!

თქვენ მეტად საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრებისეული გზა განვლეთ. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი სხვადასხვა დროს მუშაობდით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების სამეცნიერო ორგანიზაციის დირექტორად, თბილისის კვების მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ექსპერტად, გაზეთ „დიოსკურიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, არჩეული ხართ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით აღინიშნა. არჩეული ხართ იყალთოსა და ხობის საპატიო მოქალაქედ.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს რაინდად დაბადებულ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი შემდგომი იუბილის სოხუმში აღნიშვნას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ცოტნე ირაკლის ძე ალბუთაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ბატონო ცოტნე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, ღირსეულ მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი საყვარადღებო შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა. 1972 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ ნაწარმოებები ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი ლექსები სამშობლო ქვეყნის ავბედითობით გულგასენილი იმ შემოქმედის სულიერი ღაღადისია, გულისფიცარზე რომ აწერია დიდი ილია მართლის დანატოვარი სამება - მამული, ენა, სარწმუნოება. ამიტომ მოსწონს ქართველ მკითხველს თქვენი პოეზია, მოსწონს იმიტომაც, რომ ამ ლექსების ავტორი ჩვენი ლიბომორღვეული ქვეყნის ჭირისუფალია, საწუთროს უღრანებს სასწაულეზრვიად შერჩენილი პილიგრიმი, წყლის გზაზე ერთხელ გამტყდარ კოკას რომ დამსგავსებია, რომელსაც წყურვილი კლავს და წყალს კი არავინ ასმევს. ელაციცება წარსულს, წარსულში ჩარჩენილ დიდ ქართველებს და მათ სულს დღევანდლობისკენ ინვევს, რათა მათთან ერთად შეებრძოლოს ეშმასა და მაცილს, ბოროტებს და უკეთურობას. თანამოსანგრედ არხლის ციხე-გალავნიდან ფეხადგომილი მუხები ეიმედება, ბინდ-ბუნდს შენაფერი ლევა ახალუბრით შემოსილი მუხები, საკუთარ მძლავრ სხეულებში რომ ინახავენ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ერის ვეება ენერგისა და პოტენციალს, რომელსაც ვერარა ძალა ვერ მოერევა, ინახვენ რწმენასა და იმედს ქვეყნის გადარჩენისა...

ავტორი ბრძანდებით არაერთი მხატვრული ნარკვევისა თუ პუბლიცისტური სტატიისა, რადიო და სატელევიზიო გადაცემისა, დოკუმენტური ფილმების სცენარისა.

დეტალურად, ამოწვლილვით შეისწავლეთ ფშაური კაფიის გენეზისისა და განვითარების საკითხები და სოლიდური გამოკვლევაც მიუძღვევით მას... შეისწავლეთ ფშაური ხმით ნატირლები, რომლებიც ცალკე კრებულად გერმანიაში გამოიცა.

თქვენ ჩამოაყალიბეთ საქართველოში პირველი გარემოს დაცვითი ალტერნატიული არასახელმწიფო ორგანიზაცია „ბექთარი“, რომელმაც წინა პლანზე დააყენა ქვეყანაში ეროვნული პარკების შექმნის იდეა. სწორედ თქვენი რედაქტორობით გამოიცა სამეცნიერო-პუბლიცისტური ალმანახი „ეროვნული პარკები-დედაბუნების გადარჩენის პერსპექტივა“...

ერთ-ერთი მოთავე იყავით ძალზე პოპულარული ექსპედიციებისა, რომლებიც ჩვენს დიდ წინაპართა ნაკვალევზე გადიოდა.

ფართო საზოგადოება გიცნობთ, როგორც აქტიურ საზოგადო მოღვაწეს. სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ, ჟურნალ „ეკონომისტის“ სამეცნიერო რედაქტორად, ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს რეგიონალური მმართველობის განყოფილების სახელმწიფო მრჩეველად, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში რეგიონების მართვის სამსახურის სახელმწიფო მრჩეველად, რეგიონებთან ურთიერთობის სამსახურის ბიუროს სახელმწიფო მრჩეველად, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობის საკოორდინაციო სამსახურის რეგიონალური პოლიტიკის ანალიზისა და პროგნოზირების საინფორმაციო ცენტრის სახელმწიფო მრჩეველად, ვაჟა-ფშაველას ასოციაციის გამგეობისა და აკადემია „ფაზისის“ წევრად, სალიტერატურო ალმანახ „პირიზის“ მრჩეველთა საბჭოს კონსულტანტად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორი ორდენით, მონიჭებული გაქვთ ტერენტი გრანელის სახელობის პრემია.

ბატონო ცოტნე!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედსა და მამულიშვილს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებითი წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



პოეტური დიალოგი

„ადამიანი გენეტიკური ყულაბაა და მასში წვეთ-წვეთობით გროვდება მა-მა-პაპათა ყველა თვისება: კარგიც და ავიც, ღვთიურიც და მიწიერიც.“

სწორედ წინაპართაგან ერგო ლეილა ალიევას ნიჭიერებაც და უმშვენიერესი გარეგნობაც, მადლის ქმნის უნარიც და პირველობის ხიბლი თუ ტვირთი. დიას, ყველა მადლი, რასაც უფალი უნან-ილებს თავის რჩეულებს, მარტოოდენ სიცოცხლის ძვირფასი სამკაული რო-დია, ის მძიმე ტვირთიცაა, მით უმეტეს იმ ქალბატონის მხრებისთვის, ვისაც მამა უფალმა, არაერთ ტალანტთან ერ-თად, პოეტური ნიჭიც უბოძა, პოეტური ნიჭი ანუ სევდა, რაც ჭეშმარიტი პოეზი-ის საფანელია.

ტვირთის შესამსუბუქებლად კი ფრთები, ფრთებია საჭირო: - გჩუქნით ზაფხულს და მე ფრთებს ვიტოვებ, ჩემთვის ფრენაა, იცით, მთავარი, რადგანაც მხოლოდ ოცნებით ვცხოვრობ, თქვენს თვალში მიტომ ვჩანვარ თამამი“.


წერს მაცვალა გონაშვილი ლეილა ალიევას წიგნის „საწუთრო სიზმარივით იღვავა“ წინასიტყვაობაში, წიგნისა, რომელიც თავად ჩინებულად თარგმნა ვინ-ვინ და მთარგმნელმა ყველაზე უკეთ იცის იმ პოეზიის მადლი, რომელ-საც მარტო კი არ გადმოაქართულებს, საკუთარი სულის ლაბირინთებს გა-მოატარებს და მკითხველს ასე სთავა-ზობს, პირველყოფილი მშვენიერებით, ამავდროულად, გემოვნებიანი ქართვე-ლი მკითხველის სმენისთვის გასაგებად და საამებლად.

ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში, ფიქრობ, თავად მკითხველიც დამ-ემონებება:

ასე ნუ ჩქარობ, მშვენიერო, ჩემო ფარვანა, მარტოსული ხარ შენც ჩემსავით? მითხარ სიმართლე! ო, რა სინაზით ცეკვავ ახლა სიკვდილის ცეკვას, დაუმეგობრდე, მიეახლო გინდა სინათლეს... არა, გაფრინდი, ასეთ ყოფას რაღა ფასი აქვს და ანაცვალე თვით სიცოცხლე წამებს ვნებინს, ლექსის სტროფები მიმოფანტე დამწვარი ფრთებით, ასე ცოცხლობენ პოეტები, ასე კვდებიან.

ვოლტერი წერდა: „მე ისე მიყვარს ჩემი ქვეყანა, მინდა, რაც ძვირფასია სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ჩემ ხალხს გაუზიარო“. ამ სურვილმა ააღებინა ხელში კალამი მაცვალა გონაშვილს და ისეთი პოეტის თარგმნა ითავა, მისი სულისა და ფიქრების თანა-ზიარი რომ არის. ეს არის არა მარტოდენ თარგმანები, არამედ ორ უნიჭიერეს ქა-ლბატონს შორის პოეტური დიალოგი. თავად კი, ამ წიგნის მთარგმნელი, თავის არჩევანს ასე ხსნის: „ყველაფერი, რაც საგულისხმოა და ამალღებული, მარტოდენ ერთი ადამიანის, ან ერთი ქვეყნის კუთვნილება როდია, ის ყვე-ლასია და მზის სხივით ყველაფერს თანაბრად ეფინება. სწორედ ამიტომ გა-დავწყვიტე ლეილა ალიევას მშვენიერი ლექსების თარგმნა და დიდი პოეტური ტრადიციების მქონე მკითხველისთვის მისი შეთავაზება:

მე არქარებით ვწერ ამ სტრიქონებს, არად დაგიდევთ მძიმეს და წერტილს, რითმების ჯვარზე გაკრულ ტკივილებს, ვიცი, რომ ფასი არა აქვს თქვენთვის. ვკითხულობ მეც ამ რითმების ჯვარზე გაკრულ ტკივილებს, ვკითხ-ულობ, თუ როგორ იღვავა „საწუთრო სიზმარივით“ და მიჭირს სადმე შე-



ჩერება, წიგნის დროებით გვერდზე გადადება, მთელი კრებული ერთი ამოსუნთქვით იკითხება, არ გაძლევს გულგრილობისა და მოწყენის საბაბს, აქ ყველაფერი ამალღებული, საცნაური და ახლობელია: სიკეთეც, სიმარტოვეც, ყოფნა-არყოფნის მარადიული სევდაც, და მარადისობასთან ნაზიარევი ჭეშ-მარიტებაც.

ლეილა ალიევას ფილოსოფიურ, სიზმარ-ცხადის საზღვარზე მოკიადე პოეზიას თავად ავტორის მხატვრო-ბა ამშვენებს. ეს ნახატები პოეტური მისტიკის გასაღებად ქცეულა, ის კი, წიგნი, ასეთი მშვენიერი ემოციებით და სევდით რომ გივსებს სულის სკნელებს, დამსახურებაა როგორც თავად ავტო-რის, ასევე ამ ლექსების მთარგმნელისა. მჯერა, ეს წიგნი ქართველი მკითხვე-ლის საუკეთესო საჩუქარი იქნება.

მანანა გორგიშვილი

ლეილა ალიევა

ო, მეგობარო, კვირფასო და უსათნოესო!

ჩემო ძვირფასო მეგობარო, უსათნოესო, რატომ ტირი და რად დარდობ ასე? გულს გაბზარავს და სიყვარული ჩაივლის უცებ, როგორც სიცოცხლე და სილამაზე.

შეხედე, ქვეყნად რა ბევრია ადამიანი, ფუჭი იმედით მოსულდგმულე, გზაარეული, ამ უსასრულო ბრბოში მაინც ვერ ვნახე სწორი, მე მარტო მოველ ამ ქვეყნად და ნავალ ეული.

ქვეყნად ყოველი ამაოა, ლხენა ნუთია, ნუ დაეცემი, ოცნებები აქციე ფრთებად, უმზეობისგან ბალახიც კი კარგავს სინედლეს, უბედობისგან უძლეველიც უძლური ხდება.

არც რა გცოდნია ყოვლისმცოდნეს, მიხვდები ბოლოს, თავის ნებაზე გათამაშებს ნუთისოფელი და ყველა კითხვას პასუხს გასცემს ის, ერთადერთი, ყველასთვის ასე ნაცნობი და შეუცნობელი.

მითხარი, ჩემო მეგობარო, რისკენ ისწრაფვი, რად გაკრთობს, ბედს რომ შეერკინო, შეუთამამდე, შენ ისე ძლიერ გეშინია სატრფოს დაკარგვის, რომ გირჩევნია უარყო და დასთმო თავადვე.

თუ მუდამ ვცოდავთ, რა ფასი აქვს მონანიებას, თუ ვინანიებთ, რატომ გვაკრთობს უფლის სასჯელი, ან იქნებ შენი არეული გზა და სვე-ბედი, არ არის ჩემი განსაკითხი და განსასჯელი?

ქურდობა, იცით, საძრახისია, დრომ დრო მომპარა, დრომ დრო ნამართვა,

სულ ამაოა დროსთან ჭიდილი, ან ვინ გაიგებს დროის სამართალს.

დროს სხვამ მოჰპარა ჩემი წილი დრო, არც დაამძიმა თურმე ცოდვებმა, არც მე ვაპირებ, განვსაჯო იგი, რადგანაც ქურდის ქურდი ცხოვდება.

ცოდვილებისთვის სამოთხის კარი საგულდაგულოდ დაკეტილია, ისე მიცქერის დრო თავზედურად, ჯოჯოხეთისაც არ ეშინია.

დრო დამცინის და აბუჩად მიგდებს, ყურში ჩამესმის საზარი ხმები და ამიტომაც ვუფრთხი განთიადს, დაისებს სევდით ამიტომ ვხვდები.


დროვ, კარგად ვიცი შენი ხრიკები, ვიცი, სიცოცხლის დრო მაქვს დროებით და მიმაქანებს მინისკენ ტვირთი ამქვეყნიური ამაოების.

კანონს დაემორჩილეთ! ასე გვიმეორებდნენ, ცხოვრებაში მთავარი წესია და კანონი. დაველოდოთ სანამდე, დაველოდოთ ნეტავ რას? სანამ ნავით ჩვენს ნაპირს მოადგება ქარონი? აი, სულ ველოდებით, სასწაულის აღარ გვწამს, გვეშინია თამამად ზღურბლზე გადმობიჯების, უკვე ვერ გაგვიგია, ბედი რატომ შემოგვწყრა, თუკი კანონს არ ვარღვევთ, მაინც რატომ ვისჯებით. გეყო, ასე ცხოვრება, სხვათა მითითებებით, ბილეთს თავისუფლების თუ იშოვი, კარგია. სანამ ცოცხლობ - იცოცხლე, სანამ ცხოვრობ - ილაღე, ჯილდო სიცოცხლის ბოლოს ნეტავ რაში გარგია. გვასწავლიდნენ ჩვენ ყველას, როგორ უნდა გვეცხოვრა, სულ სწავლაში, შრომაში, ეს ცხოვრება გავიდა, მინდა ერთად ყოველი, ზეცა - ბედის მთოველი, ანდა სულ არაფერი, არაფერიც არ მინდა.

შენ შორს ნახვედი

შენ შორს ნახვედი, არ მითხარ, საით, სარკმილიდან ყინვამ შემოატანა, შენ ხომ მიცნობდი დიდი ხანია, რად გასურდა ტანჯვის მარტო ატანა? თუმც შორს ნახვედი, შენმა სურვილმა დაიპყრო გული, ჭკუა-გონება, გთხოვ, აარიდო თავი ცხელ ტყვიას, ჩემი ამბორი ნუ გეგონება. თავს გაუფრთხილდი და უცრემლო დღეებს დამპირდი, დაბრუნდი, გულში გამიცოცხლე მზე და აპრილი.

თარგმნა მაცვალა გონაშვილი



დომენტი სოზავილი

ომანა ზურაშვილმა სკოლაში სულ 4 კლასი იარა, დანარჩენი სულ ცხოვრებიდან მიიღო. ბედის ირონიით ისლა დარჩენილა იმ თაობის, თავის ლექსებში რომ ჰყავს გაცოცხლებული. 90-ს გადაცილებულს ცხოვრებამ უღმობლად მიუღუნ-მოუღუნა შავი დღით მონაგარი და ახლა მარტო ამ ორსართულიან სახლში გაჰყურებს სხვა სოფელში გათხოვილი გოგოს გადმოსვლას. შორეულ ვოლოგდაში დარჩენილი ბიჭის იმედით კარგა ხანია მისი პატარობის სევდა როცა იყო „ბიჭი პანანინა“:

- მეხრე ვიყავ, გუთნის დედა დამკიოდა ზედა გუნებაში ბევრჯერ მითქვამს - რისთვის გავჩნდი, დედა!.. - დაჰკა, ბიჭო, გაუჯავრდი ხარებს, მიკვირან; ხარებს რო ენა ჰქონოდეო, იტყოდნენ, რო გვგია... ვცემდი, მაგრამ იმათ ტკივილს მე თვითონვე ვგრძნობდი, დალლასა და უბედობას ოხვრით თანეფგრძნობდი...

.....
მიხარია ამ დიკეთეს მეც რომ შევესწარი, მაგრამ მე არ მაინყებდა გუთანი და ხარი... რადგან ჩემი სიყმაწვილე მათთან გამოვხარი...

თურმე ასე უნდა ხალხს. „არსებობისთვის ბრძოლას“ ცოტას რო მიანებებენ, ერთმანეთთან გაზიარ-შეგულისპასუხებულს მოუნდებათ იყურონ ერთმანეთის სარკეში თავის დასანახად. მეტრი-რითმა, რიტმი თავისით ეძლევათ, მოსდით. და ისიც მარტო რჩება... ასე გამოიჭრა მაშინდელზე სუ მარტო, ყველას გულნადების მტკმელი - პოეტს ვინ დაგიზახებს - პოეტას. ერთი რო გამოჩნდება ვინმე ყველასი მთქმელი, მერე იმან უნდა თქვას და თქვას საჩვენო, საიმათო... არადა როგორ უყვართ, ელიან ახალ ლექსს! რა ამბავი ჰქონდათ მაშინ, რა მხიარული სიცილი-ჩაბჟირება, როცა იმან, პოეტა ომანამ, უბნის გადახდილი სამონადირო ამბავი გალექსა-გაამასხარა:

დალამდა, კვირა წავიდა, გათენდა ორშაბათია, ბოლო ედება ნოემბერს რიცხვისა ოცდაათია. „გილზებსა“ სტენავს „კარტეჩით“ პავლიაშვილი ვანია, დილაადრიან წამოდგა პირიც არ დაუბანია. გადაიკიდა ხანჯალი, თოფი აიღო ხელშია და გაეშურა ტყისაკენ, თან იზმორება წელშია. ღოპრების ნათხარს მიადგა,

იროდის მოლობილშია, ათრობს იმათზედ ოცნება არ ესვენება ძილშია. წესია მონადირისა, გული უცემდა, ხარობდა, სანდროს ანუხებს - გამომყე, მოუსვენრობდა, ჩქარობდა. მუხლზე თოვლი ძვეს ვეება, სახე უცვლია სერებსა, დააბლარძუნებს „პეტუხა“ ფიჩხები სწინ კნის წვერებსა. შემოიბრინა საცურო, ღორებს მისდია კვალზედა, ფეხი უსხლტება ყინვაზედ ჯანს ექცეოდა ძალზედა. ამასობაში ვანია ბიჭობა გამოიჩინა,

ყურძნით გამოუბარავს. ვაზებო, თქვენ დაგელოცოთ მაღლიანი ფესვები, ჩვენამდე თქვენ მოიტანეთ ძველი ადათ-წესები. მე უღვინოდ იმ ქვეყანას როგორ გავემწესები... როცა მტევნებს ვეფერები, ვკოცნი, ვესალბუნები. ამაყი ვარ, ჩემო ღვინოვ, ქვევრში შენ მეგულები!.. პოეტი ომანა ზურაშვილი ასე ამბობს გაზაფხულზე: გაზაფხული ყვავილების ღრმა, უძირო მორევია, ამოდენა სილამაზეს მუზა ველარ მორევია...

„პოეტა პოეტია!“

ტახი დაარხო ვეება იქნება მწვადი „მიჩინა“.
მინყნარებულა ბუნება სოფელი გახლავთ ძილშია, მიეპატიჯნა ვანიას ვინც იყო მასთან წილშია. სატამადოში დამსხდარან ბეჟანა და კუდაო, თან ერთმანეთს ჩმუგნსა სცემენ ჭამა ასე უნდაო. მუქთა არის ქელეხივით შევეჯობრნეთ თუნდაო, - მეტი აღარ შემოძლიან კუდა გაუმტყუნდაო... ერეკებოდნენ ბიჭები ძველებსაც კი აღარ აცლიდნენ დასუნსულებდა კუკური სანამდე ქვაბებს დასცლიდნენ გამოპრანჭულა დესპინე, თამადის ტოლიბაშია, სადღეგრძელოებს უნუნებს, არავინ მოსდის ჭკვაშია... გადმოდის, ცეკვავს ჯემალი, ხალხო, დაჰკარით ტაშია! თავი დაუკრა ლიზიკოს, თან ნაჭერს იდებს ყბაშია... ქობიდან მობჟუნტს სინათლე, ლამფა ბრიალებს „სტოლზედა“, ცეკვავს ლიზა და ჯემალი სრიკას უსვავენ „პოლზედა“. ვანია მწვადებს უმზადებთ, თებრო ფუსფუსებს გარეთა, - ასე სჯობია, ბიჭებო, ილხინეთ, გაიხარეთა!..

რაა ცხოვრება უპოეზიო, უღექსო... ხალხი უპოეტო... დედამინა უცა-ლაყ-ვარდო!.. ერთი რო გამოჩნდება ვინმე მთქმელი, იმან უნდა თქვას ყველასი საჩვენო-საიმათო... თვითონ ის ვინ იკითხოს!.. იმათ ცხოვრებას რა მისტირია აჩუქოს, აცინოს, ალხინოს, სილაღე მისცეს... რა დღეები, ღამეები უნდა ჩაჭიდებული, გაუმვებელი ლექსები-სათვის!.. როგორ იტყვის გლეხებისას, ღვინისას, ვაზისას - გულმართლად, ღამაზობით, სიყვარულით თვითონ დღე-ღამე გამრჯე:

ქვევრის ღვინო, გუდის ყველი, შოთი თავთოხიანი, გაუმარჯოს, ვადღეგრძელოთ გლეხი ბარ-თოხიანი. ვაზებს ძირს რო მოუთოხნის ანდა გამოუბარავს, ვაზი ვალში არ დარჩება,

გაიხედავ აქეთ-იქით სულ სხვადასხვა ფერები, ყველა გულთან ახლოს ინევს, ყველა მოსაფერებია... პოეტი თუ არპოეტი ყველა აუმღერებია... კიდევ რამდენი შეუქმნია, დაუნერია ამ თვითნაბადი სამყაროსთვის. უიმი-სოდ, უიმისლექსებოდ სადაა ძველანაგურობა... (იმის ლექსებში ყველგან „ძველანაგა“ თქმული ჩვენ - თავის სოფელზე. ვერ გაიგონებთ აქაური უმრავლესობისაგანაც ამ ორსიტყვიან, პროზაულ „ძველი ანაგას“, რომელიც აწერია სოფლის შემოსასვლელში და რომლითაც დგება საკრებულოს ოფიციალური დოკუმენტები, საბუთები... არადა, პოეტ ალექსანდრე ბეგაშვილის სრულიად სერიოზულ გამოკვლევაში ქიზიყის სოფლების სახელების მართებულოსათვის - ის ჩვენი სოფლის ნამდვილ სახელსაც გვეუბნებოდა - „ძველანაგა“! სხვებმა გაითვალისწინეს ეს, მაგ. ნუკრიანი კი არა, ნუკრიანი ჰქვია დღეს

კაცს, ადამიანს ქვეყანა თავისი რო ჰგონია და ჰოი, საოცრებავ, ემღერება, მღერის! - ასეთობა რომ იყოს, ვინმე უნდა სიმღერების, ლექსის გულიანი, ხმიანი, სიტყვიანი... იმისით იქნება მღერა, გალობა, მუზა, შეღება სიხარულის, სილამაზის სამყაროს... მოსკოვიდან, სამხედროდან როგორი ლექსით ჩამოვიდა „სომხის გოგოს“ სიყვარულზე!

მოსკოვს სომხის გოგო ვნახე, ვუთხარ: „ახჩიკ, ცავატანემ“ მიმიზიდა მისმა ეშხმა, ცოტა ხელიც წავატანე. ქვეყნად ქალი მინახია, მაგრამ ის კი სულ სხვა იყო, მთვარესავით გაბადრული ჩემი გულის ტანჯვა იყო. პირველად რომ დავინახე „კუკლასავით“ აგებული, შევადარე კოკობ ვარდსა, ყვავილივით გაფურჩქნული. ვეცადე და ვერ გავიცან, რადგან ვიყავ „საღდათია“, ქალი უნდა გაინაზოს, ეს ხომ მისი ადათია.

მერე მითხრა: „ახალგაზრდავ, რად ირჯები ჩემთვის ასე, „საღდათი“ ხარ, გენაცვალე, შენი თავი დააფასე.

არ ვიცოდი რალა მეტქვა, გამიჩერდა წყლური ენა, როგორ წუხდა ჩემი გული, წარმოიდგინევით თქვენა... „არი ახჩიკ, ცავატანემ“... კიდევ სიტყვა დავატანე, მაინც ჩემი სიყვარული სასომხეთში გავატანე.

დიდი ვაჟა-ფშაველა იტყოდა: სამდურავს კალმისთვის, ოჯახის რჩენაში რო ბევრს ვერაფერს შეენეოდა. - მე კალმის მაღლიერი არა ვარო; მე გუთნის მაღლიერი ვარო!... - ეს თქვა, ასე თქვა ტავის ურვა ბუმბერაზმა მწერალმა მწერლობისთვის საქართველოში. ის რომ ამას იტყვის, მწერლობაში, პოეტობაში სიცოცხლეშივე გაღმერთებული - სხვები როგორ იქნებიან სიტყვის იმედად, ოჯახების მქონე, არსაიდან არაფრის მოლოდინში.

ამას კი სად გაეფიქრებოდა საამისოდ. მისი ამდენი ჯაფა იმისთვის იყო, რომ ლექსებისათვისაც მოეცალა. ლექსები უნდა, თქმა, მინათება უსამართლობას, მწავრელობას, უქნარობა-ხელმრუდობას; უნდა ამაგის დანახვა სხვათა, დანახვა უდროდ წასულთა... სულის მოძრაობა, შფოთვა, მიპყრობა...

ვინ არ იცნობს იმის უცაბედ თქმებს: „სირცხვილი რაკეტისტებო, სეტყვით აგვესოთ ლულები!“ ხელაპყრობით რო მიმართავთ „რაკეტისტებს“, „მესეტყვეებს“ - კარგად რო დავისეტყვეთ!..

„არ შეგშენის ომია ღვინის ეკონომია!“ - ეს შეუძახა თავს კიდევ სუფრაზე მაშინ, როცა ღვინო დააკლდა ბოლომდე და არ ენადა ქვევრის ახდა. ჩაიქნია ხელი, ქვევრიც აიხადა და ვალიც მაიხადა.

„შაქრიან ღვინოს მე არ ვაყენებ, შეურაცხყოფას რატომ მაყენებ!“ ესე შეუბღვირა ერთ აბეზარ მუშტარს, რომელმაც ამის შემდეგ დაანება თავი ლაზლანდარობას და კაი გაშტერებული წავიდა - ამნარები რამდენი...

იმას არ გაუფიქრია ლექსებით ეცხოვრა. ისა ცხოვრობდა ლექსებისთვის. იმისთვის პირველი მთავარია, რომ ის არის მთქმელი - პოეტი ხალხისა, იმის მხარობი.

...და მოატანა ასაკმა ამასაც: „ბერიკაცმა ჩაიმუხლა სადღაც, აინია, ძვლები ველარ დაძრა, ძარღვებში რომ სისხლი დუღდა-ჩქეფდა, გაეყინა, ორგანიზმი დაძრა. ნალვლიანმა გადახედა წარსულს, სიჭაბუკე უცებ გაახსენდა - როდის განვლო ამოდენა წლებმა, ვერც გაიგო, ისე დაათენდა... არა, თავის თაობიდან ისლა და ზემოთ კალატოზი დედაიმიშან გურამა არიან უბანში დარჩენილი. აბა, ერთმანეთს ველარ ელაპარაკებიან ადვილად. კალატოზს ყავარჯნებით გარეთ გამოსვლა უჭირს გზის პირას ჩადგმულ კაი ძველ ძელსკამამდე, ეს კიდევ ყურში ჩაყვირებითლა იგებს. თორე სატქმელი, გადასახედი ბევრი აქვს ორივეს; ერთის აშენებული სახლები იდგება და იდგება დროში. ამისი ღვინოსავით ლექსებში კი ცხოვლად ინახება წასული ხალხის სახეები და განვლილი ცხოვრება.



ალი ისაევ-ავარსკი

მე, ალი ისაევ ავარსკი, დავიბადე დალესტნის ერთ პატარა აულში მწყემსის კარავში.

თექვსმეტი წლისამ დავტოვე ჩემი მრავალსულიანი ოჯახი.

განათლების მიღების და რაიმე ხელობის შესწავლის სურვილმა ათი წელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მახეტიალა.

ოცდაექვსი წლისა ჩამოვედი თბილისში. ჯერ სასტუმრო „საქართვე-

მერაბ კოკოჩაშვილს, რევაზ მიშველაძეს, ჯანსუღ ჩარკვიანს და სხვებს.

ჩემი ბიოგრაფია კარგად იცინა „მწერლის გაზეთის“ მკითხველებმა, მაგრამ ამ მიმართვის მიზეზი თავის შესენება კი არა, სხვა რამ გახლავთ. კერძოდ, აი რა:

ამ ოციოდეწლის წინათ გადავწყვიტე დოკუმენტური ფილმი შექმენა ქართულ-დალესტნურ ურთიერთობაზე. მოგეხსენებათ, ჩვენ ასეული წლებია გვერდიგვერდ ვცხოვრობთ და ამგვარი ფილმის შექმნა ჩემამდე ცდითაც კი არავის უცდია.

რაკილა ფილმის დაფინანსებაზე კინოსტუდიაში უარი მითხრა, ავიღე ბანკიდან სესხი, იმ იმედით, რომ როგორც ჩვეულებრივად ხდება, ფილმს გადავიღებდი, მას შეიძენდა სახელმწიფო და გადავიხდიდი ბანკის ვალს.

გადავიღე ოთხსერიანი ფილმი ქართულ-დალესტნურ ურთიერთობაზე.



ალეკო ბელთაძე

სავლის ბაზარი

სუფევს მიღეთის, სევდის ბაზარი. სიტყვა მწყაზარი, ველარ დავძარი, მაქვს დაცემული ისე თავზარი, ვით გულანშარო! მულაზანზარი! მოჩანს გარემო, ისე საზარი, სახეს იხოკავს: სკვიითი... ხაზარი... ურვად დაჩენილ ნაკანრ-ნაბზარით, მოდებული აქვს გულეხს ხანძარი, როგორც ჩამქრალი ბუხრის ნაცარი, დუმილს მოუცავს ციხე-ტაძარი... შემოძარცვია ზღვის ფსკერს მარჯანი, ტყეს და ქარაფებს ქურციკ-კანჯარი. ჭკუით დატენილ თავებს ხანჯალით, სხეპს ყველა ურცხვი, ყველა არჯალი. დედამინა კი, ცბიერ ავ ძალით, აპოკალიფსის გახდა ნაკრძალი. ხალხი სანყალი, ლანჩაამძვრალი ეშმაკს მისდევენ ბანცალ-ბანცალით.

ნავიდე და ნავიყოლო საიქიო

გახსენება გამიმძაფრებს ძველ იარებს, ჭიჭონები* იღვრებიან ცრემლის ტბებად. შენს სურვილზე ვერა და ვერ გავიარე, მაინც ისევ შენი ხილვა მენატრება. დაღვრემილი კანკელის წინ ვანთებ სანთლებს, ღვთის ნებისთვის მიმინდვია დანარჩენი... ლალატი თუ ერთგულებას ასამართლებს, ეპილოგში არც იკითხო განაჩენი. ხვალის განცდაც ბოშასავით მიმატოვებს, მერამდენედ შენს სახელზე ვიჭრი შავებს, ცოცხარკმლიდან თვალს შევავლებ სიმარტოვეს, როგორც ხურმებს შემოსულ ბოლოშავებს. შენი ნდობით აქ თუ არა, იქ მქონები, ორლესული შაჰის რისხვით გავიქნო, ლალუმივით ავიფეთქო სტრიქონები, ნავიდე და ნავიყოლო საიქიო.

ბ ა ს ტ ი ო ნ ე ზ თ ა ნ

ათასნაირად გარდამსახველი, ბოლოს თავსა ჰკვეთს დუმილს მხილება და ცოდვა-ბრაღი ღმერთის სახელით, ანი ეშმაკთან განიხილება. არ შეეცადო შენგან გარიყო, ყური მომსმენი, თვალი მზირალი, მქადაგებლებში როდის არ იყო, ავაზაკი და ნაჯიბგირალი. ძველზე ძველია ეს რაფსოღია, აღზევებული ყველა ხანაში და ანგელოზად მძიმე ცოდვიანს, მით არ უჭირდა როლის თამაში. დაბუდებულია ზესკნელ-ქვესკნელში, სახე შეშლილი, ურჩხულ-ქიმერის, ჩანს კედლებიდან სათნო ფრესკებში, კომედიები ალიგიერის. ზეთის სანაცვლოდ შხამის ამფორის, შეძლო როდემდე უნდა ატანა, რომ დასისინებს შავ ანაფორით, უფლის სახელით თეთრი სატანა. ესა სამოთხის კარს რომ არ გიღებს, მადლად მიითვლის ჩხიბვას, ნამებას, გამათხოვრებულ შენს სიღარიბეს, მერე მონათლავს გარდაცვალებად. არ ესწავლება დამფლავ-ამომთხრელს, წმინდა ნიგნი რომ მარტო ერთია, როგორც ვრწმუნდები, სულის სამოთხე, ხორციით შექმნილი ჯოჯოხეთია.

*ჭიჭონი - ტირიფი

ალი ავარსკის მიმართვა საქართველოს ხელისუფლებიდან

ლოში“ მესაათედ დავიწყე მუშაობა და მალე ირაკლი აბაშიძის რეკომენდაციით კინოსტუდიას მივადექი.

ჩემი გამსახიობება ასე მოხდა: ბატონმა ირაკლიმ ერთხელ მაჯის საათი მომიტანა შესაკეთებლად, გავბედე და ვთხოვე, იქნებ კინოსტუდიასთან მიშუამდგომლოთ, რათა მასიურ სცენებში მაინც დამაკავონ და დამატებით სახსრად ორიოდ კაპიკი ვიმოგო-მეთქი.

ასე დავმკვიდრდი სამუდამოდ თბილისში და შევუდექი კინოხელოვნების უძნელეს საქმეს.

აქვე, თბილისში, ვპოვე ჩემი დიდი სიყვარული, მუსიკატომცოდნე მზია იაშვილის სახით. შეგვეძინა ვაჟი, ბექა, რომელიც ახლა ცნობილი ტელეჟურნალისტი და ტელერეჟისორია.

კინომ დიდი შემოქმედებითი ბედნიერება მომანიჭა.

რამდენიმე გახმაურებულ ფილმში სხვადასხვა მთავარი როლი შევასრულე, რომელთა დიდი ნაწილი საერთაშორისო პრიზებით აღინიშნა.

მერე ლიტერატურასაც შევბედე. გამოვეცი ლექსების რამდენიმე კრებული და გაეხდი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

დაბეჯითებით ვიმეორებ: მე ეროვნებით დალესტნელს (ლეკს), დალესტანში დაბადებულს და გაზრდილს საქართველო მეორე სამშობლოდ მექცა.

საქართველომ მომცა ყველაფერი - ხელოვანის სახელი, თავშესაფარი, მომცა გამოცდილება და მასწავლა - კაცური კაცობის ზნე-ჩვეულება, რასაც ჩემს არსებაში ვეღარაფერი ამოშლის.

ახლა 83 წლისა ვარ.

ჩემი ცხოვრების უკეთეს დღეებს ვუმაღლი ჩემს ძვირფას მასწავლებლებს და მეგობრებს: ირაკლი აბაშიძეს, რასულ გამზათოვს, სიკო დოლიძეს, იოსებ ნონეშვილს, რეზო ჩხეიძეს, გიგა ლორთქიფანიძეს, თენგიზ აბულაძეს,

ფილმი ურიგო არ გამოვიდა.

თხუთმეტი წელია დავდივარ ამ ჩემი ფილმით ილიაში კულტურის სამინისტროსა და მინისტრთა კაბინეტს შორის, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, თითქოს პირი შეჰკრესო, არავინ შეაბა კატას ეუფანი - არა და არ შეისყიდეს ფილმი, რათა ეკრანზე გასულიყო და ორიოდ გროშით სული მომეთქვა.

ამასობაში ბანკმა ყელში ხელი წამიჭირა.

ქართული კულტურის მუშაკებმა (კინოს, მხატვრობის, მწერლობის, მუსიკის ცნობილი წარმომადგენლები) ღია წერილით მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას: თავი გვეჭრება, ბანკი ცნობილ ქართველ მსახიობსა და რეჟისორს ალი ავარსკის ოჯახითურთ ქუჩაში გამოსახლებას უპირებსო, მაგრამ კულტურის სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა წერილის ავტორები პასუხის ღირსადაც არ ჩათვალეს.

ყოველივე ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ საკუთარი სახსრებით აშენებული და ბანკში ფილმის გადასაღებად აღებული სესხის სანაცვლოდ ჩადებული სამოთხიანი ბინა გამიყიდეს და ფაქტიურად ქუჩაში დამტოვეს.

ქართულ ხელოვნებას ჩემს სამოცწლიან სამსახურს როდი ვამადლი, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ რა დავუშავე ასეთი ქვეყანას, რომელიც დღესაც ჩემს სალოცავად მიმაჩნია?

ნუთუ ამას დაუშვებდნენ ცოცხლები რომ იყვნენ ზემოთჩამოთვლილი ჩემი ძვირფასი მეგობრები?

რამ გაგიცივთ გული, ბატონო ბანკირებო და ბიზნესმენებო?

ვინა მყავს ასეთი „ერთგული მტერი“ კულტურის სამინისტროში, რომ წლების განმავლობაში ენერგიულად ცდილობს ულუკმაპუროდ ჩემს დატოვებას?

გთხოვთ, მიპასუხოთ!

მე ასეთი საქართველო მაშინავს

განა ვხუმრობ, არა, რა მესხუმრება, მზეში თოვს და წვიმაშიაც დარია, ყველას ესმის ეს მწყაზარი ბუნება, რამ შეშალა, ასე რამ გადარია. დავილაღე, მოხუცო და ჯიელო, წანწალით და თრევა ბოღჩა-ფუთანის, უნდა სანამ, სანამ ვიმარჩიელოთ, რომ ერთმანეთს შაჰი სჯობს თუ სულთნი. საყდრის ბზაზეც რომ მეგონა მაგარი, ვერ ვუსწორებ მზერას ჩავილილ ავ-კარგებს და ვერ ვხვდები, რუსთველის მონაგარი, საქართველო სად და როდის დავკარგე. ავკაცობად ჩამითვალეთ მხილება, ოლონდ ერთხელ უღვინოდ ვთქვა „ვერიტას“, სულ ვაბრალოთ დუშმანს აღერლილებმა, ქართველები ერთმანეთს რომ ვერ იტანს. ძველნათქვამებს ახალს, ჯერაც ართქულეებს, დრო გამოცდას კვალე მოუნყობს საშინელს, მაცხოვართან პირფერობით გართულეებს, ეშმაკეთი დაგვიმკვიდრებს სამშვივნელს.



ცისანა ანთაძე - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ცისანა დიმიტრის ასული ანთაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა, მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ცისანა!

ჩვენო ძვირფასო და ერთგულ მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, მისი თითოეული წევრი გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, პიროვნებას, მოღვაწეს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

სრულიად ახალგაზრდად გადადგო პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე, როდესაც 1955 წელს ლანჩხუთის რაიონულმა გაზეთმა „სოციალისტურმა შრომამ“ თქვენი ლექსი „გაზაფხული“ დაბეჭდა. მას შემდეგ თქვენი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში და ცალკე წიგნებად გამოიცემა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენ აჭარაში მოღვაწე ქართველ მწერალთა გუნდის ერთ-ერთი უღირსეულესი წარმომადგენელი ხართ და დიდი წვლილი შეგაქვთ აჭარის - საქართველოს ამ უმშვენიერესი და, ამავე დროს, ტრაგიკული ბედის მქონე კუთხის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების წინსვლასა და განვითარებაში.

თქვენი პოეტური კრებულები „ლექსები“, „ბილიკ-ბილიკ“, „ლამაზი სიზმარი“, „მზეო, მაღალო“, „მოეფერეთ შემოდგომის ჩიტებს“, რჩეული, „გიახლოვდები ცაო, მაღალო“ და სხვები ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს, რადგან მათში დავანებულ თქვენს პოეზიას შინაგანი ლირიზმი, თავისთავადობა, ვერსიფიკაციური ძიებები, ადამიანური სითბო და სიკეთე გამოარჩევს. თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს არაერთ ანთოლოგიაში შეხვდებით.

ბათუმის თეატრში წარმატებით დაიდგა თქვენი პიესა „გრიგოლ რობაქიძე“.

თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი, რომლებიც აჭარაში მოღვაწე გამორჩეულ პიროვნებებს მიუძღვენით.

როგორ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღვნიშნოთ თქვენი ლიტერატურული წერილები, ტაო-კლარჯეთს რომ ეხება. ამ წერილებში ვულკანური მწვერვალებით ამოზრდებიან ოშკი და იშხანი, ტბეთი და ოთხთა, ოპიზა და ბანა, ხანძთა და ბერთა, პარხალი და ხახული, დოლისყანა და ნუკა, სხვები და სხვები, თქვენი და ჩვენი საესავი სამშობლოს მკერდს მოწყვეტილი მარგალიტები, ცრემლში განბანილი, ნამეხარნი და ნაოხარნი, მაინც ამყავდ რომ დგანან და ელიან...

შესანიშნავად თარგმნეთ ვლადიმერ ვისოცკისა და ლიდია გრიგორიევას ლექსები. თქვენს სცენარზე და ლიბრეტოებზე შექმნილია თოჯინური სპექტაკლები.

მართლაც რომ დიდია თქვენი ღვაწლი საზოგადოებრივ ასპარეზზე. სხვადასხვა დროს მუშაობდით ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში; აჭარის საბავშვო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში; გამომცემლობა „აჭარაში“; აჭარის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში; აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პრემიების კომიტეტში; აჭარის წიგნის მოყვარულთა ასოციაციაში. არჩეული იყავით აჭარის პირველი მონვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად და ხელმძღვანელობდით კულტურის, მეცნიერებისა და განათლების კომიტეტს.

დაჯილდოებული ხართ დავით აღმაშენებლის, ზურაბ გორგილაძის, ფრიდონ ხალვაშის სახელობის პრემიებით, აგრეთვე არაერთი სიგელით და ბათუმის მერიის, უნივერსიტეტის და სამეცნიერო საზოგადოების პრემიით „ნიჭიერი, რჩეული, აღიარებული“, ჰაის-ქართლოსის საერთაშორისო მედლით.

ქალბატონო ცისანა!

გვიყვარხართ თუნდაც იმიტომ, რომ ეს ნაზი და უსათნოესი მანდილოსანი მყისვე მკერდმოჭრილ ამორძალად გადაიქცევა ხოლმე, როცა საქმე ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემებს ეხება.

კიდევ ერთხელ პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას, ღვაწლმოსილ კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ სიხარულს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ლილი მჭედლიშვილი - 90

90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლილი რომანის ასული მჭედლიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ლილი!

ჩვენო საყვარელო კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემითა და მოწიწებით მოგესალმებიან დიდებულ მთარგმნელს, საზოგადო მოღვაწეს და გილოცავენ დაბადების 90 წლისთავს.

თქვენ ქართველ შემოქმედთა იმ ჯგუფს განეკუთვნებით, ვისაც სრულად აქვს გასიგრძელებული მნიშვნელობა მთარგმნელობითი საქმიანობისა. მსოფლიო მწერლობის კლასიკოსთა ქართულ ენაზე ამეტყველება ხომ საშვილიშვილო საქმეა და თქვენც ათწლეულების განმავლობაში ამდიდრებთ მშობლიურ მწერლობას პირველხარისხოვანი თარგმანებით და თქვენი წვლილიც შეგაქვთ მის წინსვლასა და განვითარებაში.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწი მთარგმნელობით სარბიელზე მართლაც რომ პატივისცემით განაწყოფს ყველას თქვენდამი. ვინ არ გითარგმნიათ, რამდენი მშვენიერი თარგმანი შეგიმატებიათ ქართული მწერლობისათვის.

ლევ ტოლსტოი, ფიოდორ დოსტოევსკი, ანტონ ჩეხოვი, ივან ტურგენევი, ივან ბუნინი, მიხაილ ბულგაკოვი, ნიკოლაი ბერდიევი, ანდრეი ბელი, ალექსანდრ მენი, ვლადიმერ ნაბოკოვი, მიხეილ ზოშჩენკო, ანდრეი ბიტოვი, ვლადიმერ ტენდრაიკოვი, პეტრუს ცვირკა, იან კროსი, პოლ ალექსანდრი, მორის როლანი, უმბერტო ეკო, მილორად პავიჩი, ივლინ ვო, მარიო ვარგას ლიოსა, ჯეკ ლონდონი, რუდოლფ შტიინერი, სვამი ვივკანანდა, ვაცლავ ჰაველი, რაბინდრანატ თაგორი, სამუელ ბეკეტი, პატრიკ ზიუსკინდი, პიერ-პაოლო პაზოლინი - აი, იმ უცხოელ ავტორთა არასრული სია, რომელთა გამორჩეულად საინტერესო და მნიშვნელოვან ნაწარმოებებს სწორედ თქვენეული თარგმანებით გავცნო ქართველი მკითხველი.

ეს სია არასრული კი იმიტომ არის, რომ მასში არ შევიტანეთ და სრულიად სამართლიანადაც ძირძველი და უაღრესად საყურადღებო იაპონური მწერლობის კლასიკოსთა თქვენეული თარგმანების ნუსხა. იაპონურ მწერლობას ხომ თქვენს მთარგმნელობითი ინტერესების სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია. დიახაც რომ გატაცებით თარგმნეთ ისეთი იაპონელი კლასიკოსების ნაწარმოებები, როგორიც არიან აკუტაგავა რიონოსკე და იასუნარი კავაბატა, სიუსაკო ენდო და კენძაბურო ოე, დიმუნა კიუსაკი და კუნკიდა დოპო, ძუნტირო ტანიძაკი და მურასაკი შიკიბუ, იუკიო მიშიმა და იასუსი ინოუე კობო აბე და იჰარა სიკაკუ.

თქვენს მიერ თარგმნილ ნებისმიერ ლიტერატურულ ტექსტს ჩინებულად, დახვეწილად შემოქმედის ხელი ატყვია, შემოქმედისა, რომელიც ახერხებს სათარგმნი მასალის არსში წვდომას, ავტორთა სტილისა და მანერის სრულად გათავისებებს და თავანკარა ქართულით გადმოცემას...

არც ქართველი ბავშვები დარჩენილან თქვენი ყურადღების მიღმა. რა შესანიშნავად თარგმნეთ მათთვის მოლდავური და რუსული ზღაპრები, ალექსეი ტოლსტოის „ბურატინო ანუ ოქროს გასაღები“, უოლტ დისნეის „ჯადოსნური ქვეყანა“...

ყველგან სადაც კი იღვანეთ, ყველგან თქვენი მშვენიერი სულის ტვიფარი დატოვებთ. წლების განმავლობაში მუშაობდით გურჯაანის საშუალო სკოლაში, ჟურნალ „ხელოვნებაში“, საქართველოს გამომცემლობების სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში...

როგორ შეიძლება არ გვახარებდეს, რომ თქვენი მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა დიდი ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა.

ქართველი მწერლებისთვის მართლაც რომ სამაგალითოა თქვენი კეთილშობილება, სათნოება, კდემამოსილება...

ქალბატონო ლილი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, დიდ ქართველ ბანოვანთა ღირსეულ შთამომავალს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ივეტა პავლიაშვილი-დოხნაძე

პოეზიაში ხატიალი

მთვარემ სხივები ჩამოარიგა, დადგა ცვლის მძაფრი არომატები, ციდან ფრთოსნები ისე დაეშვნენ ვით ღვთის მსახური ანგელოზები. პოეტი ამდროს ტყვე არის ფიქრის, კეცავს და გაშლის სტროფში სტრიქონებს,

და როგორ მიდის ზეალსავალთან მთვარეულივით ვეღარ იგონებს. რითმები მთვარეს ჩამოეკიდნენ ვით მარგალიტის საქანელები, მთვარემ სხივები ჩამოარიგა, ისმის სიცოცხლის საგალობლები. ღამის წყვდიადი შთანთქეს სხივებმა, ქვესკნელს დაეფლო მნათი ლანდები, ინათინათა და გამოსტაცა მოხეტიალე პოეტს დარდები.

.....
მთვარის სხივებმა ჩამომაკითხეს,- ღამის წყვდიადი აღარ მაშინებს, ანი... ტკივილიც ვერ შემაშინებს, ო... სულის ბალი... ისე გავხშირე...

პასუხი ჩემო!

მომენატრა შენი ცისქვეშ ყოფნა, მომენატრა მასპინძლობა შენი, მომენატრა შენი მთა და მდელი, ალაზანი, სანახები ვრცელი მომენატრა შენი თბილი გული, სუფთა, როგორც მინდვრის დილის ცვარი, შენი მზის ქვეშ მინა ისე ზზინავს, ვით ერეკლეს ალესილი ხმალი. ადრე უცებ მოვირბენდი შენთან, ახლა რატო მეჩვენები შორი, დაილოცოს ჩემო შენი მინა, და შენამდე მომავალი გზები.

სამაისო

მალე ზამთარი წავა, მზე ამიშვევებს ფიქრებს... შენთან შეხვედრის ჟინი გარეთ გამიყვანს იქნებ?!

მოვალ, უსიტყვოდ მოვალ, შევსვამ ყვავილთა სურნელს, მოვეფერები ყველა ყვავილს ჭკვიანს და სულელს...

ნუშის ხეს აცეკვებულს, ყელმოღერებულ ტიტებს, სამყურას სიხასხასეს, ვაშლზე ყვავილთა ბუკეტს!

ყაყაროს აღმოედებულს, ნარცისებს ყვითელ-ყვითლებს, ზამბახებს ფერად-ფერადს, ბალზე კვირტების ჯიქნებს... მუხის ფოთლების შრიალს, დილის რიჟრაჟის აღმურს.

.....
მთელი სამყაროს ხმაურს!.. მეც იასავით მინდა შინდების ძირას ვიდგე. ვინ იცის...იქნებ ამ გულში რა საჩუქარი მიდევს?..

ლაშა თოლორდავა

ყრომის ზღაპარი

ქარის ზუზუნი, თოვლის ქრატუნნი, ლუმელში გოჭი ტაფას გართხმული, ლამფის ციმციმი, სიმის უღარუნი, მეგრული ოდა ნისლით დანთქმული. სარკმლის რაფიდან ცა გააღული, ჩაფუთქნულ ტოტზე ჩიტის ფაფხური, სითეთრე, როგორც ნაზი ქალწული, ესვენა მინას სულგანაბული. თოვლის ბაბუა ჩემებრ აღქმული, მოაბოტებდა ხურჯინასხმული, ბუნება ჩვეულ ფერებს ნაკლული, იზმორებოდა ფილტვებდახრული. მწვადის შიშინი, შემის ტკაცუნნი, ღვინო ხრიკაზე ჩამოღვარული, ფიჭვთა კოპორტა ტანდაყურსული, ღობე მორებით შემორაგვული, ურმის ქრიალი, ფლოქვის თქარუნი, თოფის გრიალი, ზარის წკარუნი, უბნის ტკრციალი, ხმა საამური, ციგას ვათრევი ყელჩატყაული, ღამე ზღაპრული, მთვარით ნათლული, სუფრას თამადა, სიბრძნით განთქმული, ლექსი, სიმღერა, სიტყვაკაზმული, მექაჩებოდა უკან წარსული!..

მაია წიკლაური

საფეთქელს ძარღვის ცემა მიხეთქავს, ოფლი მანვება ცხელი, ორივე ტორით მზისკენ მიიწევს ყალყზე შემდგარი ცხენი. სუნთქვისშემკვრელი, შიშვარეული აღფრთოვანება მზაფრავს, მჭახე ჭიხვინით მკერდს ისე ბერავს, ვით ქარიშხალი აფრავს, ვერ ვიმორჩილებ ამ სატიალეს, სადავეს მაჯას ვახვევ, ცდილობს ზურგიდან ჩამომიბერტყოს გადამამტვრიოს ძვლებში. უკვე სიკვდილის ანგელოზს ვხედავ, ისიც მარიდებს სახეს, არ ვემეტები მხეცების ლუკმად ამ მიუსავალ მთებში. ჩემი ღამაზი, ზღაპრული რაში, ცაში გაფრენას ცდილობს, თავისუფლების შინაგან ძახილს, თავი შეაკლას ღამის, ტუსალის გული ვერ გაიხარებს, მისთვის დილაც არ დილობს, არც მზე არ მზეობს, არც გაზაფხულობს, მხოლოდ სიმავე ღამის შემოანგება სულის ქარაფებს, დადაღავს მძიმე ხვედრით, ნუთუ ძნელია შენთვის გაფრენა ზურგზე პატარა მხედრით, ნუ გამირბიხარ, შენისთანა ვარ, მეც სულ გაქცევა მინდა, მეც საკუთარი ფრთები დამაჭრეს, დღე გადამექცა ბინდად.

ეკატერინე გაბედავა

რომ არ ვდარდობდე ჩემი მეგობრის ჩამქრალ თვალებს და ღია ჭრილობას, რომ არ მძარცვავდეს სევდა მეკობრე ჩამოქცეული ცა და ჭილოფი... მე რომ მზე მათბობს, რომ არ მრცხვენოდეს, მაშინ როდესაც შენ გცივა, დაო, რომ არ მტანჯავდეს მიტოვებული ჩემი ტაძრები ოშკი და ტაო... რომ არ მტკიოდეს აფხაზ გოგოზე შემოხეული ატლასის კაბა, რომ არ მეძახდეს ასე ნამუსრი მოძმე ერისგან მე ახალდაბა, ჩემი ოდა და ჩემი ჯარგვალი რომ არ მენვოდეს სულში ცეცხლივით, რომ არ ვიფიქრო, საით გაფრინდნენ ჩემი აივნის მკვიდრი მერცხლები. დაცემულს თუ ვერ შევეხიდები, თუ ლუკმას ველარ გავუყოფ მშიერს, თუ ჩატეხილი დროის ხიდები არ დაიბრუნებს პირვანდელ იერს... თუ დამეძინა ღამე, როს ვიცი სავსეა ცრემლით შენი თვალები, თუ გატეხილი ჩემი ძმის ფიცი არ მექცა რწმენის დასაფლავებად... თუ არ მოგიკვდი, შენ, რომ იცრუებ და თუ შენს გამო მე არ შემრცხვება, თუ დანგრეული სხვისი ფიცრული თმაში თეთრად არ შემევეცხლება!.. თუ სიყვარულის სიპატარავემ შენმა მე გული ვერ ამატკია, თუ არ მოგყევი სახლის კარამდე, არ მიგაცილე ღამე ნაკიანს... სიცოცხლე ყველა საზრისს დაკარგავს, რად მინდა მერე ზე-ცა მზიანი, თუ ვერ ვიცხოვრე ასე ავ-კარგად თუ ვერ ვიქენი „ადამიანი!“

თამარ მამისეიშვილი

ჰაიმოცეპროლა ჩემი ბავშვობა

ჩემს აივნიდან ვხედავდი გუშინ, ლურჯად შედებილ ჭიშკრის კარებთან, მეზობლის ბიჭი შურდულით ხელში, ჩიტებს მთელი დღე უთვალთვალებდა. მე გამახსენდა ბავშვობის სახლი, ცაცხვის ტოტებში ბუდე ჩიტების, იმოსებოდნენ მწვანედ რტოები, ქარში სკდებოდნენ ატმის კვირტები. არც კი გასულან ის წლები თითქოს, თვალწინ დამიდგა მთელი სიცხადით, მზის მოელვარე ათინათები, როგორ მოჰქონდათ ჩიტებს ნისკარტით. ეყარათ მხრებზე ყვავილის მტვერი, ფრთებს შერჩენოდან ღრუბლების ფთილა და სტვენა-სტვენით ოქროსფერ სხვებს, ცაცხვის ტოტებში აწნავდნენ ფრთხილად. გუშინ მთელი დღე ვმაღავდი ტკივილს, მარტი სველ ფოთლებს ქარში აშრობდა და მკვდარი ჩიტის ჩამქრალ თვალთაგან შემომცქეროდა ჩემი ბავშვობა.

ბექა გურიელი (სურგულაძე)

გურიის მონატრება

მინდა, ისევე ვნახო შენი მთები! დათოვლილი ნაძვი, კვლავ შევიგრძნო სურნელება მძაფრი (შენი მთების ნისლის. მოვეფერო ჩემს მშობლიურ მხარეს, ვესაუბრო მეოცნებე ქარებს, სანთლის შუქზე გავათენო ღამე, გზას მინათებს მეგობარი მთვარე. დილით ადრე ბებო გამომიციხობს კეცზე მჭადებს, სიამაყით გადმოვხედავ გომის მთას და სურებს, მომენატრე ახლაც, თითქოს შენი სურნელება ვიგრძნე, ემატება წლებს წლები, მომენატრა ბასილეთი, მთისპირი და გრიგოლეთი, ურეკი და ნაბელავი, გომის მთიდან შეკვივლება, სიყვარული მომენატრა, შენი მთების სითბო.

ოთარ ფალიანი

არაპროპრიული ლექსი სოხუმა...

აღარც თოლიები დაფრინავენ, აღარც ის პალმები დგანან რხევით, ის ზღვაც მიატოვეს დელფინებმა... სოხუმი ვთქვი და დავახველე... ფილტვებს ამოუშრათ ბოლი ღერის, შუბლი შეიკუმშა საფეთქლებთან, სოხუმი ნითელი სისხლის ღელე... შენ, ჩემო თავო, რაღა გეთქმის! შენ, ჩემო თავო, რაღა გეთქმის! რამდენჯერ ჩამაკვდი ამ ხელებში... ურემს ტამიშიდან მოვავორებ, ნევს ჩემი ოცნებები დასერილი... მითარგმნე, აფხაზო, გვარი ჩემი, სოხუმი ზედ გულზე დამასვენე! ვუსმენდი აფხაზურ რაფსოდებს, ჩემი ძვალგამხდარი არსობიდან, თოფი ჯერ არ მქონდა გასროლილი... გულღვიძლი ტყვიებით ამომივსეს! სოხუმს დავუტოვე ჩემი ბოლო გვამი, ბოლო გაღიმება... სევდა დამაშვრალთა, ხსოვნის ბილინგვასთან, ვდგავარ შესაბრალი, ვიდაც მუსლიმანი, ღარიბ დერვიშივით, აჰა, ასურეთით მოდის ისიდორე, ტერფებს აფხაზეთის რინა დაუსველებს, ვიდრე ის ქარები, თოვლში ისინდობენ, ვიდრე ის პალმები, ჰგვანან კარუსელებს, ღმერთო, შენი ხმის და ლოცვას მინდობილი, სოხუმი ზედ გულზე დამასვენე! აღარც თოლიები დაფრინავენ, აღარც ის პალმები დგანან რხევით, ის ზღვაც მიატოვეს დელფინებმა... სოხუმი ვთქვი და დავახველე...

ნიკოლოზ ქვრივიშვილი

სავაზნე დღეები შეაშრა სხვა დრომას, წერტილი. ძახილი! და კითხვის ნიშანი? და ომმა ისეთი მშვიდობა წარმოშვა, შენი ძმა უჩოხოდ რომ ველარ იცანი. ლუკმაგაჩხერილი ღამეა, ხროტინობს, ჭექა-ქუხილობს ღმერთების მინაზე და სიკვდილ-სიცოცხლით გამომძლარ მონიტორს „ბავშვობადაკარგულ“ თაობას მიანერთ. იქ ღმერთი არ იყო, ღმერთი დენტს არ ყვარობს და ბოლო გემიდან გვისროლეს ბელტივით, ცალ ფეხზე მკიდია უშენო სამყარო, რამ გაალტოლოვია ამდენი დევნილი?! კეტებით ჩამოვალ და ძველი ჯინსებით, გზადაგზა რაიმე სიმღერას დაგინერ, „საზღვარზე“ გადმომაქვს ლექსტალაქტიდები ვერავინ დამიჭერს...! ნუ შეგეშინდება ახალი ნაცნობის, იქ, სადაც კარია, ელიან შელებას, მოვალ და საერთო ტკივილებს დავკოცნი და მერე ყველაფერს თავიდან შევღებავთ...

კედლებზე დავხატოთ შოთა და ბობ-მარლი შავი ზღვა საბნად და პიჟამა ნიჟარის მოვირგოთ, ახალი თაობის მორალი არ გვქონდეს იჯარით. ნაბიჯ და ნაბიჯ და კიბე და კიბე და შენმა ზღვამ, ჩემმა ზღვამ, ყინული გარიყოს შენ რჩები, მე ვრჩები, იმდენის იმედად, რომ ომი არ იყოს. სავაზნე დღეები შეაშრა სხვა დრომას, წერტილი. ძახილი! და კითხვის ნიშანი? და ომმა ისეთი მშვიდობა წარმოშვა, შენი ძმა უჩოხოდ რომ ველარ იცანი.

მაია დიაკონიძე

თაია

მტკივა და ნისლივით ვირევი, ქარს ვატან ამ გულის ნაფლეთებს, კლდეები, პირგამეხილები, მადებენ სისხლიან ნაკვეთებს. თაია, ღამაზო თაია, შენ, ჩემი გულის საკინძვე, თაია, თუშქალავ, თაია, მოდი და დარდები გამიქრე, თაია, ღამაზო თაია, მტკივა და ნისლივით ვირევი, ქარს ვატან ამ გულის ნაფლეთებს, გაქვრები, ერთს შევეწირები, ზეცაო, ტყვიებით დამსეტყვე. თაია, ღამაზო თაია, შენ, ჩემი გულის საკინძვე, თაია, თუშქალავ, თაია, მოდი და დარდები გამიქრე.

ირმა მეტურიშვილი



იქ ციხისძირში

ცა ერთხელ მინაგნები, სადაც მზე ცეცხლს იკიდებს, სად ოცნებებს ვაგებდი დამაბრუნებს იქ კიდევ... დამაბრუნებს იქ როსმე – ჩიტმა ჩიტს, რომ გაუბა სტვენა, კვლავაც მოვუსმენ გაზაფხულის საუბარს. დამაბრუნებს ტალღები, რომ ვისხურე ის ყურე, სად სივრცეებს გაყვები, სადაც ვიგულისყურე. მარწევდნენ ქარები ხან – დახან ტალღა – აკვანით – სადაც შენ მყვარებიხარ... ქარების მინამგვანი.

ბაგირებით, წნელებითაც წნულ-გაბმულს, ხიდო ბონდის, ხიდიკარში შესარბენო – ხიდო, ახლა მომაგონდი. მჩქეფარე რიონის ნახვა, იმ ხიდიდან დააფეთებს კაცსაც სულ პატარა გოგოს, შიში მისუსხავდა ფეხებს, ხიდზე ფრთხილად გავდიოდი, ნაბიჯ-ნაბიჯ, კიდე-კიდე, მერე უკან ვბრუნდებოდი, — ერთხელ კიდე, ერთხელ კიდე, სიმამაცეს ვუმტიკებდი ბიჭებს, თავსაც ვცდიდი ეგებ, იმ პატარა ირმას ახლა ხიდის ბოლოს შევეგებე, ჩავიკარი, ჩავიხუტე – თავნება და უშიშარი, სიჯიუტე მეთნო მისი და გამოსცდის, როცა ჟამი, თვით სიკვდილის ბენვის ხიდზე, გავლაც თუკი დაენერა, გადაირბენს იმ ხიდზედაც – აგრემც ღმერთი შეენევა.

ნელქარისი

ნეკრესის ძველ ნაქალაქარს ერქვა თურმე ნელქარისი, როსმე ისე დიდებული, წერა გახდა მტერთა რისხვის,

დრო გაჩერდა საუკუნოდ, არლა არის ნელქარისი. სიმტიკიცემაც ვერ უშველა, ვერც კედლების, ვერც ქავისი. დაშთა ნაშთი ძველთაძველი, სანნახლის და ერქვანისი, ტაძარნიც და ნატაძრევიც – მოზურულან ლეგა ნისლით. სევდიანი არემარის ჩუმი მოთქმა ყველგან ისმის, აშრიალეებს შამბს და სუროს მიმოქროლა ნელ ქარისი.

გაცხოვლდი, საქართველოო

წავგრილი ქალაქები და წავგრილი სოფელ-დაბანი, ვით გითხრათ, რა ტკივილია, ან სინანული რაბამი. რისთვის ვისაჯეთ, რა იყო ომების მიზეზ-საბაბი, სადაა განსაცდელეების სასრული, ან დასაბამი. მომხდურს არ შევკუბებვართ, არც შევუკრთივართ არც როდის, ლოცვით და მარხვით შევძელით დაძლევა საცდურ-საცდომლის. მეფეთა საგალობელით – ომის წინ ცას მინანვლომით – „შენ ხარ ვენახით“, სამშობლოვ, ჩემო, რამდენჯერ გაცხოვლდი... გაბრწყინდი, საქართველოო, გამბრწყინებელი ან ყოვლის – ლოცვაა, სიყვარულია, ჩვენთვის წამებულ მაცხოვრის.

ლექსია ჩემი სამშობლო

თუ ნატვრის ნება არა მაქვს, უფალო, მომეც ნება რის, ავდგე და წყალს გავატანო ეს ჩემი ნაოცნებარი... ცხადშიც და ძილშიც საშველს რომ არ მაძლევს იმ დარდს რა ვუყო, ან იმ სიხარულს, სხივმიქრალს სული როგორ არ გავულო? ვინ იცის, რაა მიზეზი იღბალმა თუ რამ დამაკლო, რისთვის დამაკლო, ან ლექსი რად მომცა ყოვლის სანაცვლოდ. რად მინდა, ნატვრის გარეშე ლექსი რაა და სასო რა, არც ერთს არ დავთმობ, ნეტავი, ვინ გაყო, რამ დააშორა?.. საიმსოფელოც ერთი მაქვს სანატრი და საამსოფლოც, ოცნება თავად ლექსია და ლექსი – ჩემი სამშობლო.

ხსნა მხოლოდ სიყვარულშია

ცრემლით ვასველებ ვაჟას ლექსს – „იას უთხარით ტურფასა“, გაჩენა რომც არ მდომოდა, ვინ შეისმენდა ნუკვასა.

არ მოსვლის მდომი ზეციერს, ვით მივანვდენდი სულთქმასა, ან კაცი საით მიხვდება, რა განუზრახავს უფალსა.

თავის ალებას რომ ვლამობ, მიტომ მიმეტებს ან უფრო, ტვირთსაც უფრორე მიმძიმებს ეს წარმდინარე საწუთრო...

მე მაინც მეძვირფასება, თუმც მტანჯავს და მაცოდვილებს, ხსნა მხოლოდ სიყვარულშია, ეს ვიცან და ვიცოდინე. ამასლა ვვედრი მუზასთან ნუ გამყრის სამიდღემშიოდ, რომ ლექსებად ვთქვა ყოველი, რაც მიყვარს, რაიც ჩემშია.

სანამ მაცოცხლებს მაცოცხლოს, არ მეშინია სავსებით – სიკვდილის მიწით მოვსულვარ, მინასვე დავემსგავსები.

პალმა

ერთ სანერგეს ვენვიე და მომანონა თავი პალმამ. აქორჩილმა, ტანდაბალმა მიხმო, როგორც დედოფალმა. მივგაენი მებაღეს და ყელგამონვდით შევებვენე, ჩემი ბალისათვის მინდა, რახანია ვნატრობ, ვეძებ, გამატანე, ამიცხადე ჩემი ნატვრა სამოთხეზე. მებაღემაც ფრთხილად, ბარით, იქვე ხის ქოხში რომ ჰქონდა, ამოთხარა პალმა ჩემთვის და რტოებიც შეუკონა. უმალ მიხვდი, ბაღზე მზრუნველს ჩემი თხოვნა ვით ენიშნა, დამარიგა: „ჩაუპნე, ვიდრე ჩარგავ ძირში ქვიშა, შემოდგომით, ვით ივარგებს გადარგვაო, გაიოცა – რომ არ მოგცე – იძუნაო, — იტყვი, თორემ ჯობდა მოცდა“ - გავიხარე საბოძვართ, ბერიკაცი ვლოცე გულით, თუმც შემბრალდა ის მიდამოც სევდიანი, გაქურდული... რალა თავი შეგანყინოთ, არ ამოოდ გავისარჯე, წამოვიღე პალმა ციმციმ, ბაღშიც მზის ჩასვლამდე ჩავრგე. ვრწყავდი, ზრუნვას არ ვაკლებდი, ამოვარდა ქარბორბალა და ზამთარმაც ყინვიანმა, თოვლიანმა, უნდობარმა, დალენა და ჩამოახმო, დამალონა ნახვამ მისმა, დღისით ვწუხდი და ღამითაც მისი დარდი ჩამყვა სიზმრად...

მაგრამ დადგა გაზაფხული, შეენია ჩემი ლოცვა და დამჭენარი პალმა ისევ ამწვანდა და აიქორჩრა. საალერსო სიტყვებმა და მორწყვამ არგო, ვით წამალმა, — ნაზამთრალმა, ნაავდრალმა, კვლავ იხარა ჩემმა პალმამ. დილის ცვარით განბანილი ისეთია, ნახვა რად ღირს, შრიალეებს და კოპნიაობს, დამიმშვენა ჩემი ბალი.

ასეთმა ფიქრმა გამიელვა...

ესესაა დავამთავრე ირმა მეტურიშვილის ნიგნი - „ლექსია ჩემი სამშობლო“. ბოლო ლექსში ასეთი სტრიქონია: „უფალმა უწყის თუ რამდენჯერ მოვკვდევი ანი“.

საოცარი, მისტიური ხიბლია ამ სტრიქონში.

დიახ, პოეტი ქალი აქამდე რამდენჯერმე მომკვდარა.

საკუთარი სიკვდილივით განუცდია ამ ფაქიზი სულის ლირიკოსს, ჭეშმარიტ პოეტს, ყველა ახლობლის სიკვდილი: სიკვდილი დედ-მამის, სიკვდილი შვილის, სიკვდილი მეგობრის და, რაც მთავარია, მოურჩენელ იარად ჰქცევია სიკვდილის უზარმაზარი აჩრდილი, მის ბედკრულ სამშობლოს თავს რომ ადგას.

„უფალმა უწყის თუ რამდენჯერ მოვკვდევი ანი“.

ერთი წუთით წარმოვიდგინე, რომ ირმას ახლა კი არა, მეცხრამეტე საუკუნეში ეცხოვრა.

ეს მაღალი, ლამაზი ქალი ორბელიანთა ლიტერატურული სალონის მშვენიება იქნებოდა.

თავისი მთრთოლვარე ლექსებით და მომხიბვლელი პიროვნებით მაღალ არისტოკრატიულ წრეებში იტრიალებდა და, ვინ იცის, იქნებ „მაღალ სტუმარს“, იმპერატორ ნიკოლოზ პირველსაც კი დაედგა მისთვის თვალი.

და იქნებ (ამ ფიქრის თვითონვე შემეშინდა) ხელმწიფის მონა თავადებს გაენირათ კიდეც იმპერატორის სარეცელისთვის, როგორც ერთხელ მაიკო ორბელიანი განირეს.

და არისტოკრატი ბიძათა ამ საქციელს მერე ორი საუკუნის მანძილზე იდარდებდა ქართველი.

ასეთმა არასერიოზულმა ფიქრმა გამიელვა ირმა მეტურიშვილის ლექსების ნაკითხვის შემდეგ.

მაია ორბელიანის ბედისთვის არ მემეტები, ირმა, მაგრამ ცოტას ვნანობ კიდეც, რომ ამ პრაქტიციზმით დაავადებულ, მაღალი მატერიებისადმი გულცივ და, რაც მთავარია, პოეზიისადმი გულგრილ ოცდამეერთე საუკუნეში ცხოვრობ.

რევაზ მიშველაძე

„ჩემი ცხოვრება ლექსად დავწერ“

(გიორგი ხუბაშვილის დაბადებიდან 95 წლისთავის გამო)

ქართველ ებრაელთა თემის ღირსეული წარმომადგენელი, გამოჩენილი პოეტი, კრიტიკოსი და დრამატურგი გიორგი ხუბაშვილი შეუბღალავი სახელისა და ზნეობის მატარებელი პიროვნება იყო, რომელმაც, პროფესორ დავით ბააზოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირველმა, ომის შემდეგ მოღვაწე ქართველ მწერალთა შორის განსაკუთრებული სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურაში და ფასდაუდებელი სტიმული მისცა მაშინდელ ქართველ ებრაელ ახალგაზრდობას, რომ თავისი წვლილი შეეტანათ ქართული კულტურის განვითარების საქმეში“.

გიორგი მიხეილის ძე ხუბაშვილი 1925 წლის 24 ოქტომბერს დაიბადა სოფელ ბანძაში (მარტვილის რაიონი). 1942 წელს დაამთავრა ბანძის საშუალო სკოლა, ხოლო 1947 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსი „შოთა გამცემლიძე“ - გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1945 წელს.

ავტორია ლექსებისა და პოემების კრებულებისა - „მშვიდობის სიმღერა“, „მომღერალი ბიჭი“, „მთების სიმღერა“, „ლურჯი ფანჯრები“, „ფიქრები ხმამაღლა“, „ბიბლიური მოტივები“, „სონეტები“.

გიორგი ხუბაშვილის კალამს ეკუთვნის უაღრესად საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები და ნარკვევები ქართული მწერლობისა და თეატრის საკითხებზე. ზოგი მათგანი გამოსულია ცალკე კრებულებად; ასე, მაგალითად, „მწერალი და ცხოვრება“ (1956 წ.), „მწერალი და დრო“ (1962 წ.), „ლიტერატურული წერილები“ (1970 წ.), „დრო და თანამედროვენი“ (1977 წ.), „დროის კვალდაკვალ“ (1984 წ.).

მას საყოველთაო აღიარება მოუპოვა დრამატურგიულმა ნაწარმოებებმა. ქართველი მკითხველი დღესაც დიდი სიამოვნებით და აღტაცებით კითხულობს გიორგი ხუბაშვილის პიესებს: „ზღვის შვილები“, „დღიურები ჩემი ქალაქიდან“, „ცხოვრება კაცისა“, „მოსამართლე“, „დაბრუნება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, „ამბავი წუთისოფლისა, ომისა და ჯარისკაც ჭიპილიასი“, „მთაწმინდის მთვარე“, „მიდიოდნენ ჯარისკაცები უღელტეხილზე“, „დედა, მამა და შვილები“, „დაბრუნება ნიკო ფიროსმანისა“ და სხვ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ინსცენირებები: ლეო ქიჩელის „ჰაკი აძბა“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ვაჟა-ფშაველას „მთანი მალაღნი“. ავტორია კინოსცენარებისა, მხატვრული და დოკუმენტური ფილმებისათვის - „ზღ-

ვის შვილები“, „მთვარის მოტაცება“, „მოლოდინი“, „ნოდარ დუმბაძე“, „გრიგოლ აბაშიძე“ და ა. შ.

გიორგი ხუბაშვილმა ღრმა კვალი დატოვა საზოგადოებრივ ასპარეზზეც. წლების მანძილზე მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილების გამგედ, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროს რედაქტორად, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის უფროს რედაქტორად, კინოსტუდიის დრამატურგთა გაერთიანების წევრად, თეატრალური საზოგადოების დრამატურგიისა და სოციოლოგიის კაბინეტის გამგედ. იყო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილე, აღმანახ „კრიტიკის“ რედაქციის წევრი და ჟურნალ „ცისკრის“ ლიტმუშაკი.

თავის ფიქრებსა და განცდებს ფუნჯსაც მიანდობდა - საინტერესო მხატვარი იყო. მის ფერწერულ ტილოებში ამოიკითხავთ მხატვრის, როგორც მოქალაქის, პიროვნულ თვისებებს, კეთილშობილურ ბუნებას, უშუალობასა და სისადავეს.

იყო ღირსების ორდენოსანი, სახელმწიფო და აკაკი წერეთლის პრემიების ლაურეატი. გ. ხუბაშვილის ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს რამდენიმე ენაზე.

გიორგი ხუბაშვილის მოქალაქეობრივი ცხოვრების წესი ქვეყნისა და ხალხის უანგარო სამსახური იყო. ამ ადამიანში კონცენტრირებული იყო ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელია ინტელიგენტისთვის.

თანამედროვეთაგან შემოქმედებითი მრავალფეროვნება გამოარჩევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება თამამად და გადაჭრით ითქვას, რომ გიორგი ხუბაშვილი გამორჩეული ხელწერის მქონე პოეტი გახლდათ. აკი წერდა კიდევ გივი შაჰნაზარი: „შენმა მადიებელმა შემოქმედმა სულმა მოსვენება არ იცის. მრავალი ჟანრის მიმდევარი, რაღაც ღირსეულს ყოველთვის ამკვიდრებ. პოეზია... აი, ის, რითაც ინყები შენ, როგორც შემოქმედი... „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ იმიტომ წარუმიძღვარე შენს შემოქმედებას, რომ შენს ყოველ ჟანრულად განსხვავებულ ნაწარმოებებს სწორედ მისი, პოეზიის მაღლი სცხია“.

შემოქმედების მარადისობაზე მომღერალს, სწამდა, რომ „პოეზიის ქვეყანას პოეზია გადაარჩენს“. ამ რწმენით შთაგონებული წერდა სიკეთეზე, სიმათლეზე, მშვენიერებასა და ადგილის დედის განუზომელ სიყვარულზე. გ. ხუბაშვილის პოეტური შემოქმედება საქართველოსა და ყოველივე ქართულისადმი უსაზღვრო სიყვარულით და მონივნებითაა გაჯერებული.

„მე არ მჭირდება შენთან ფიც-ვერცხლი, გაჭრილ თითიდან სისხლის გაღება, შენს უბერებელ მზეს ვეფიცხები, შენი დალოცვა გზებზე დამყვება.“

მეც დავრგე ვაზი ფესვებმაგარი, ვლენე ხორბალი მბრუნავ კალოზე, ბეჭზე ძლიერი მხარი დამკარი და შენს მელექსე კაცად დამლოცე. იქ გამითეთრდა შენთან თმა-წვერი, სვეტიცხოველი სადაც მოჭრილა, ჩემი ცხოვრება ლექსად დავწერე და შენს კალთაზე დავდე მორჩილად, - წერდა პოეტი ლექსში - „საქართველო“.

გიორგი ხუბაშვილის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის თემას:

„ათიათასჯერ მარცხით და ძლევით, საუკუნეებს თითქოს მოვძახი, შვილს განდევნილი ადამ და ევას ჩაღით შეკრული მქონდა ოჯახი. და უდაბნოში ბევრი ვიარე და ტყვეობაშიც ვცვიტე ბორკილი, ტანჯვით გამოვცდი შუამდინარეთს და შევეფარე მცხეთას ცოლ-შვილთ“ (ლექსი - „სიცოცხლე“).

ეს თემატიკა ასახვას პოეზებს პოეტის შემდეგ ლექსებში: „საქართველო“, „ტიბერიასთან“, „იერუსალიმი“, „რუსთაველის ფრესკა ჯვრის მონასტერში“, „მასადა“, „მკვლევარი“, „ღმერთმა გაცხონოს, წინაპარო...“, „ამ ქვებზე ისხდნენ...“ და სხვ.

გურამ ბათიაშვილი იგონებს: „ერთმა რუსმა თეატრალმა გ. ხუბაშვილს 60 წლისთაზე მარადი სტუდენტი, მის ერთ კოლეგას კი მარადი ჯარისკაცი უწოდა. ამაზე უკეთესად ძნელად თუ დაახასიათებს ვინმე გიგლას, რადგან მარად სტუდენტში იგი იმ აზრს აქცევდა, რომ გიგლა მეოცნებე და გატაცების უნარის მქონე კაცი იყო 60 წლისაც კი!“

15 წელია, რაც ცოდვამადლიან წუთისოფელს გაშორდა მარადი სტუდენტი, პატრიოტი, ჭეშმარიტი მოქალაქე, არაორდინალური, უკომპრომისო, ერუდირებული პიროვნება. 15 წელია დუმს მისი ჩანგი. თუმცა დარჩა უმდიდრესი შემოქმედება, რომელიც ამშვენებს ქართულ მწერლობას და რომელიც მისი ავტორის უკვდავების უტყუარი დასტურია.

მიმდინარე წელს გიორგი ხუბაშვილის დაბადებიდან 95 წლისთავი შესრულდა...

საქართველოში არასდროს დაივიწყებენ გიორგი ხუბაშვილის სახელს და მის ნათელ ხსოვნას ყოველთვის მიაგებენ სათანადო პატივს.

გიორგი კეკელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ნანული (ნანა) გუნია

ქრისტე უფალს ვაყოთ სათნო

რატომ ხარო ნაღვლიანი გთხოვთ, რომ ნულარ მეკითხებით, მე ისედაც დაღლილი ვარ, თქვენც მღლით თქვენი შეკითხვებით. ან შეკითხვა მას რად უნდა, რად ვარ დაღვრემილი ასე, არვინ ვიცით სამყაროში რა მოხდება დღეს ან ხვალ, ზეგ. ის კი ცხადი, ნათელია, რომ არ ვიცავთ უფლის მცნებას, სიყვარული ხალხთა შორის, თანდათან რომ ნელა ქრება. მძლავრობს შური, სიძულვილი, გაუტანლობა და მტრობა, აღარ არის ძველებური გატანა და გვერდით დგომა. მოვლენები ვითარდება ვით წერია ბოლო ჟამის, ერთურთს რომ ვმტრობთ არ სჯობია, რომ დავფიქრდეთ თუნდაც წამით? და მოვლენებს მსოფლიოში რაც გავრცელდა უცებ, ასე, ჩავუფიქრდეთ... უკუვადგოთ ეშმა და ვიაროთ გზაზე. გზა, რომელიც გადაგვარჩენს, გზა მართალი, ვინრო სანდო, სჯობს, რომ ჩვენი სინანულით ქრისტე უფალს ვეყოთ სათნო. სინანული აგვამალღებს, სიყვარული გადაგვარჩენს, თუ გვსურს გადარჩენა ყველამ პატივება ვთხოვით გამჩენს!

ჩემს მონატრებულ დედას


გულს დარდი შემომწოლია, მკლავს შენი ნახვის წყურვილი, დარდს გულში ვიკლავ, თუმცა, დედა, ბევრის თქმისა მაქვს სურვილი. შენს ალერსს, ყოფნას შენ გვერდით, მითხარ, ნეტავ რა სჯობია, არვინ არსებობს საწუთროს ჩვენს სიყვარულზე მჯობნია. დედაშვილობის ეს გრძნობა ფაქიზია და სათნოა, ყველა გრძნობაზე მაღლა დგას, ყველა გრძნობაზე სანდოა. დედიკო, მიკვირს შენ მერე ამდენხანს როგორ ვიცოცხლე, მადლობა უფალს, უფალმა გამიხანგრძლივა სიცოცხლე. შვილებით, შვილიშვილებით, ღმერთმა მომმადლა ხალისი, შენდობას შევთხოვ უფალს, რომ გულში მაინც არს დაისი. გულში დაისის მიზეზი ეს არის შენთან სიშორე, სულ შენზე ვფიქრობ...ფიქრები ვერა და ვერ მოვიშორე. მომძაღებია სევდა და მომნატრებიხარ ძალიან, ნათელში რომ გყოს, ვავედრებ უფალს და დედა მარიამს!

3 000 ნიგნი მშობლიურ სოფელს

რევაზ მიშველაძემ თავის მშობლიურ სოფელს - მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულს საჩუქრად გადასცა 3 000 ნიგნი.

3 ნოემბერს სოფელში გაიხსნა ბიბლიოთეკა. საზეიმო გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა, თარგამეულის გამგებელი თემურ პირტახია, სოსო სიგუა, ნომადი ბართაია, სკოლის დირექტორი აზა გადელია და სხვები.

მარტვილში კიდევ ერთი კულტურის კერა გაჩნდა, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „საქართველოს სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის სახელობის ბიბლიოთეკა“.



რევაზ მიშველაძის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნაზე

რევაზ მიშველაძის ოდაბადებულ, ტეხურის პირას მდებარე ულამაზეს სოფელ თარგამეულში ბიბლიოთეკის გახსნაზე მივდივართ სამნი: მე, სოსო სიგუა და რევაზ მიშველაძე.

სამივენი ერთი რაიონიდან ვართ და ამავე დროს - ამავე რაიონის საპატრიო მოქალაქენი. ასე, რომ ყოველმხრივ გამართლებული იყო რეზოს ჩასვლა სოფელში ჩვენი თანხლებით.

რა მქონდა საწინააღმდეგო და სიხარულით დავეთანხმე მეგობარს. თურმე რეზოს თავისი სოფლისთვის უჩუქნია სამი ათასი ნიგნი, რომლისთვისაც თამაკონის გამგებობის შენობაში გამოუყვიათ ერთი დიდი, ნათელი ოთახი. ნიგნებიც ლამაზად ჩაუნიკნიკებიათ საგანგებოდ დამზადებულ თაროებზე.

-ეს ოთახი ახალგაზრდათა აკადემიად უნდა ვაქციოთო! - განაცხადა საზეიმო ცერემონიაზე სოფლის გამგებელმა თემურ პირტახიამ და რა უფლება გვაქვს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ცხრაჯერ კალიგრაფიული ხელით გადამწერ კაცს არ დავეუფეროთ.

ლონისძიება თავიდან ორ საათზე იყო დაგეგმილი, მაგრამ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ერთი საათით გადაინა.

ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ყოველ წუთს ოქროს ფასი ჰქონდა ჩვენთვის, რადგან, პანდემიის გამო, ღამის 22 საათიდან დილის რვა საათამდე, თითქოს მხოლოდ ამ დროს გამოდიოდა კორონა გარეთ, საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული და დროზე თუ არ ჩავიდოდით თბილისში, კანონის დამრღვევი ვერ აიცილდნენ ორი ათას ლარიან ჯარიმას.

ლონისძიებაზე მოზრძანდა რაიონის ხელმძღვანელობა მერის - ბატონ ალექსანდრე გრიგალავას თავკაცობით.

სუფრა გაშლილი იყო სოფლის გამგებლის ოჯახში.

სთხოვეს მერს, ბატონ ალექსანდრეს, რომელმაც იმით აიცილა თამადობა, რომ აქედან კიდევ სხვა ღონისძიებაზე ვარო წასასვლელი.

საბოლოოდ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სუფრის თავკაცობა არ ასცდა სოფლის თავკაცს, ანუ მასპინძელს, თემურ პირტახიას.

თამადის არჩევაში კი ულმობლად ჩამომარცვლა სუფრისთვის განკუთვნილი ძვირფასი დროის გარკვეული ოქროს წუთები.

-რომელ ღვინოს მიირთვეთ, თეთრსა თუ შავს? - იკითხა თამადამ.

-ჩვენ არც ერთის მიმართმევი არა ვართ, 15 წუთში აქედან უნდა დავიძრაოთ! - განაცხადა კატეგორიული ტონით რეზომ.

ძველი რაგბისტის, არაერთი ოქროსა თუ ვერცხლის მედლისა და სხვადასხვა ჯილდოების მფლობელის.

ხათრით და დიდებული თამადის ენამზეობით სუფრას კარგა ხანს შევრჩით. კორონა კი ფეხდაფეხ მოგვდევდა, მაგრამ გადავრჩით დაჯარიმებას.

ნომადი ბართაია

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ თარგამეულის გამგებლის თემურ პირტახიას

გავიცანი კაცი ერთი, საქმეში რომ უცვლელია, ამ კაცს „ვეფხისტყაოსანი“ ცხრაჯერ გადაუწერია.

გადაუწერია თურმე მაგრამ ო, რა სიყვარულით, ასოებით დაქარგულით, ხელით - კალიგრაფიულით.

გამგებელი არის სოფლის და დროს კაცი რაში კარგავს, ან მზითევეში ვის გაატანს ამდენს, ანდა ვისთვის ქარგავს!

კაცი რუსთაველით ცოცხლობს, კაცი რუსთაველით ხარობს, შენთან არის გგონია და კაცი სად დაბორილობს.

გავიცანი კაცი ერთი, საქმეში რომ უცვლელია, ამ კაცს „ვეფხისტყაოსანი“ ცხრაჯერ გადაუწერია.

ნომადი ბართაია



ეთერ ზაქარიაძე

ჩემ ბავშვობაში ვიყავი მწითური, ოქროსთმიანი ფერია, დიდს თუ პატარას ყველას ვუყვარდი, სახეზე, მზის ნაჩუქარი, ჭორფლის ლაქები მქონია. მე ჩემი ფერით უცხო ვიყავი, სხვებისგან გამორჩეული, ზოგს ეშინოდა... ზოგსაც კი, გულში სიყვარული ჰქონია. გოგოებს ეხარბებოდათ, ჭორფლს იკეთებდნენ ფანქრით, მე ბედნიერი ვიყავი, ბუნებრივი და ნაღდი. ბავშვები მეკითხებოდნენ, ნეტავ ვის გავხარ ამით? მამიკოს დავმგვანებებოვარ, გონებრივად და სახით! გავიზარდე და დროც გავიდა, ბავშვობას გაჰყვა ჭორფლიც, ცოტა შემომრჩა თვალის უპებზე, როგორც წვეთები ოფლის... სურათი ვნახე, მახსენებს ამბავს, რწმენას, სულიერ განცდას... სტუდენტობაში ერთ ბიჭს ვუყვარდი, ვეღარ მიტანდა ლამაზს. გოგოებს უყვარდათ, ვერ მოგატყუებთ, ერთ და ორს კი არა... ათასს. ყველას ატყუებდა, თამაში უყვარდა, თავს აყვარებდა, მიატოვებდა, ისევ ეძებდა ახალს... ზედაც არ ვუყურებდი, თუმც მპრუებდა, გზად არ მიშვებდა მავალს... ლამაზი ხარო, მარტო ნუ ივლი, სარტყელს მოგაბამ ახალს, სანამ იცოცხლებ, ვერ მომიცილებ, გზას ჩავიხერგავ მრავალს... ასეთი სიტყვით დღემდე მაცილებს, უცხო მიწაზე მავალს... გვირგვინს მიგზავნის, გვირლით დანწულს, მე ყოველ დღით მრავალს...



საქართველოვ, გლეხი კაცი დაგილოცო მინდა!

საქართველოვ, გლეხი კაცი დაგილოცო მინდა, არ მოგაკლდეს მისი ხელი, მისი სული ნმინდა, მისი წრფელი სიყვარული, მისი გულის ცემა, მისი შრომა, გარჯა, ჯაფა, მტკიცე მაჯისცემა. გუთნის დედა მოლილინე ხართან მხარდამდგარი, უჭირს, ულხინს, შენ გიმღერის შენთვის ამაგდარი, მტერთან მკერდით წინ დამხვედრი ფხიზლად ზეზე მდგარი, მოყვასისთვის სიყვარულში ლაღად მომლიმარი. საქართველოვ, გლეხი კაცი დაგილოცოს უნდა, არასოდეს შენ არ გაცვლის, ჯვარს გააკრან თუნდაც. ქრისტეს რჯული ნეტარია, ჭეშმარიტი ღმერთი, თქვენ ერთი ხართ შენ და ქრისტე, მისთვის ერთადერთი. საქართველოვ, გლეხის ქალი დაგელოცოს მინდა, გმირი შვილების გამზრდელი, ხელთ მანდილი ნმინდა, აკვნის დედა, იავნანა, გაგიმრავლდეს ერი, გესმის?- გლეხი კაცი მღერის, მრავალჭამიერი.

ჯაბა ქელივიძე

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“-ს რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი

ჯაბა ქელივიძე
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“-ს რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი

რამაზ პატარიაძე
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა პოეტ დავით თედორაძის მეუღლე

გაბონა ფალავანდიშვილი
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს